პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 171 (9947) | ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამხ. ნ. ა. ბულგანინი ვარშავაში ჩავიდა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იდღესასწაულა ფიზკულტურელის საკავშირო დღე (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — პ. ჭიოკაძე. — კომუნისტები შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
ხ. ლეჟავა. — გავაძლიეროთ მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა (მე-2 გვერდი).
გ. ხენგავა, შ. ჭოჭუა, ვ. მებუკე. — აღვკვეთოთ უპასუხისმგებლობა ქალაქის მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმეში (მე-2 გვერდი).
კონსულტაცია. — გ. ლუარსაბიშვილი. — ნაწვერალზე ნათესი საკვების დაგროვების მნიშვნელობისა [illegible] (მე-3 გვერდი).
პატრიოტული ინიციატივა (მე-3 გვერდი).
მოდრეიფე სამეცნიერო სადგურზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა ქალაქად

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უპირველესი საზრუნავია ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი ჩვენი სოფლის მეურნეობის განუხრელი, გადამწყვეტი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრად გაუმჯობესების საწინდარია. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი პირველი შედეგია უმაგალითოდ უხვი, ბარაქიანი მოსავალი.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სხვა კულტურებთან ერთად წელს ხილ-ბოსტნეულის მაღალი მოსავალი მოიყვანეს. დიდად ამაღლდა კარტოფილის, კომბოსტოს, ხილის მოსავალი. წელს ხილ-ბოსტნეულის განსაკუთრებით დიდი მოსავალი მოიყვანეს თბილისის ახლოს მდებარე რაიონებმა — გარეუბნის, ბოლნისის, მარნეულის რაიონებმა. მოსალოდნელი იყო, რომ სპეციალიზებული სავაჭრო მაღაზიები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები ხილ-ბოსტნეულით უხვად იქნებოდნენ მომარაგებულნი. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ქალაქის მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნას თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიები გულგრილად და უდარდელად უპასუხებენ — მაღაზიებში არ არის ბოსტნეული, არ არის ხილი. მაღაზიების იმ სექციებში, სადაც ხილ-ბოსტნეული უნდა იყიდებოდეს, აწყვია ღვინო, არაყი, კონიაკი...

რატომ? ამის მიზეზი ჩვენი ვაჭრობის მუშაკების მოუქნელ მუშაობაში უნდა ვეძებოთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სამუშაოდან მოხსნა თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორი ამხ. ბოკერია, რომელმაც ჩაშალა ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმე, როგორიც არის მომხმარებელთა უზრუნველყოფა ხილ-ბოსტნეულით.

ხილ-ბოსტნეულის საკოლმეურნეო სავაჭრო წერტილები არ მუშაობენ დატვირთვით. ისინი დღეში სულ უმნიშვნელო თანხის პროდუქტებს ჰყიდიან. არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან.

მიუხედავად ხილ-ბოსტნეულის მოსავლის სიუხვისა, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, რესტორანებში, სასადილოებში ახალი კომბოსტო და ჭარხალი იშვიათად გააჩნიათ ან არ გააჩნიათ. მაღაზიებში არ იყიდება პამიდორი, კიტრი, კარტოფილი და კომბოსტო, სუფრის ჭარხალი, მწვანილი, ბალი და ალუბალი. ყოველივე ამას კი ნახავთ საკოლმეურნეო ბაზრებზე. რატომ ასევე ცლომად არ უნდა იყოს იგი ხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში?

ცუდად არის დაყენებული ბოსტნეულისა და ხილის დამზადებისა და შესყიდვის საქმე კოლმეურნეობებში. ამაზე კი ბევრად არის დამოკიდებული ქალაქის მოსახლეობის მომარაგება ხილ-ბოსტნეულით.

ჩვენი რესპუბლიკის დამამზადებელი ორგანიზაციები მჭიდროდ არ არიან დაკავშირებულნი კოლმეურნეობებთან. სამომხმარებლო კოოპერაცია ცუდად უძღვება დამზადების საქმეს. იგი არ იყენებს შესაძლებლობას რაიონებში არსებული თავისი დამამზადებელი პუნქტებისა და კანტორების ფართო ქსელის მეშვეობით შეისყიდოს კოლმეურნეობებისაგან ხილ-ბოსტნეული სავაჭრო ორგანიზაციების შეუფერხებელი მომარაგებისათვის. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები თავიანთი უმოქმედობის შედეგებს ტრანსპორტის „უქონლობას“ აბრალებენ. არ არის ცეკავშირის ხაზით საკომისიო მაღაზიები. დამამზადებელი ორგანიზაციების გულგრილობასა და უდარდელობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა მეტი მოგებით არის დაინტერესებული, არ ასრულებს სახელმწიფოსათვის ხილ-ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმას და თავისი ნამეტი პროდუქტები საკოლმეურნეო ბაზრებზე მიაქვს. მარნეულისა და ბოლნისის რაიონების მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა არ შეასრულეს ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, დაწესებული ოდენობით არ ჩააბარეს ბოჩეულ-ბოსტნეული პროდუქტები და მათი მეტი წილი საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად გაზიდეს. ცუდად მარაგდებიან ხილ-ბოსტნეულით ისეთი სამრეწველო ქალაქების მშრომელები, როგორიც არის რუსთავი, ჭიათურა, ტყიბული, ტყვარჩელი და სხვ. ცოტა როდია ხილ-ბოსტნეულით სპეკულაციის შემთხვევები.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს, არ უწევენ კონტროლს ქალაქის მოსახლეობისათვის ხილ-ბოსტნეულის შეუფერხებელ მიწოდებას, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ბოლნისის რაიონში ჩაშალა კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის საქმე, რადგან პარტიული და საბჭოთა ორგანოები მტკიცე კონტროლს არ უწევდნენ დამამზადებელი კანტორის (დირექტორი კ. კონსტანტინოვი) და მისი იმსპექტორის ნ. მამედოვის მუშაობას. იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა კოლმეურნეობებს პროდუქტების ჩაბარებაში, ხოლო დამამზადებლებს ამ პროდუქტების მიღებაში, მამედოვი პირადი, უფრო „სარფიანი“ საქმით იყო დაინტერესებული.

მარნეულის რაიონში ბოსტნეული გადამწიფებულია, ფუჭდება. მისი დროზე დამზადებისა და ჩაბარებისათვის დამამზადებელ კანტორას (დირექტორი ამხ. კოჭლამაზაშვილი) სათანადო ზომები არ მიუღია. გარდაბნის, მცხეთის, ბოლნისისა და სხვა რაიონების დამამზადებელი პუნქტები ხშირად დაკეტილია. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო მეთვალყურეობას არ უწევს იმას, რომ განხორციელდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება, სადაც წერია: 1954 წელს მაქსიმალურად გაფართოვდეს „ის პრაქტიკა, რომ საგარეუბნო ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დამზადებისა და შესყიდვის გეგმის შესრულების ანგარიშში აბარებდნენ ბოსტნეულსა და საადრეო კარტოფილს უშუალოდ სავაჭრო ქსელს და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, რისთვისაც დროზე მიაბარონ საგარეუბნო ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მაღაზიებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს და უზრუნველყონ სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის დარგში ჩასაბარებელი ბოსტნეულის შეუფერხებელი მიღება“.

ხილ-ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგება უმნიშვნელოვანესი საქმეა. ამ დარგში დღემდე არსებული შეუწყნარებელი მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. სავაჭრო ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების პირდაპირი დახმარებითა და ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში უნდა უზრუნველყონ ქალაქად ხილ-ბოსტნეულით ნორმალური ვაჭრობა.

მოვაწოდოთ უხვი და მაღალხარისხოვანი ხილ-ბოსტნეული ქალაქის მოსახლეობას!

ამხ. ნ. ა. ბულგანინი ვარშავაში ჩავიდა

ვარშავა, 20 ივლისი. (საკ.ინ.). დღეს ვარშავაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ათი წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ნ. ა. ბულგანინი.

ვარშავის ოკენჩეს ცენტრალურ აეროდრომზე ნ. ა. ბულგანინს შეხვდნენ: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, პოლონეთის მარშალი კ. როკოსოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ედვარდ ოხაბი, ფრანციშეკ მაზური, იაკუბ ბერმანი, სტანისლავ რადკევიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი სტანისლავ სქშეშევსკი და სხვა პირები.

ნ. ა. ბულგანინს აგრეთვე შეხვდნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში ნ. ა. მიხაილოვი და ვარშავაში საბჭოთა საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა.

აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომიდან წამოსულმა ნ. ა. ბულგანინმა და დამხვდურმა პირებმა გზაში დაათვალიერეს საბჭოთა მეომრების სასაფლაო-მავზოლეუმი ვარშავაში.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

მზადდება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

ორი თვე პირველ ადგილზე

ამიერკავკასიის რკინიგზის აგარის სადგურის კოლექტივმა ვაგონების ბრუნვის ივნისის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა და მიაღწია მრავალი ასი ვაგონ-საათის ეკონომიას. ამასთან დიტვირთვის თვიური დავალება აგარელებმა გაანადღეს 123,4 პროცენტით, ხოლო გადმოტვირთვისა — 136,6 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გადამუშავებულია დიდძალი ტვირთები. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს გადამეტებით ასრულებენ სადგურის უფროსის თანაშემწეები ა. ფილიშვილისა და ხ. გაგლოევის ცვლები. ისრებს სანიმუშო მდგომარეობაში ინახავს მეისრე ი. ხხილაძე.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პირველი ჯგუფის საველე სადგურებს შორის აგარის სადგურის კოლექტივს უკვე ორი თვეა უჭირავს პირველი ადგილი და ჯის გარდამავალი წითელი დროშა.

მეორე ჯგუფის საველე სადგურებს შორის ივნისში ამიერკავკასიის რკინიგზის პირველობა მოიპოვა სადგურ ქარელის კოლექტივმა.

სამტრედიელ მევაგონეთა წარმატება

სამტრედიის სავაგონო დეპოს კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა წინა თვეების საწარმოო დავალება, ივლისში მაღალნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას, ორმაგად და სამმაგად ასრულებს რკინიგზელის დღის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ივლისის პირველ დეკადაში განსაკუთრებით დაწინაურდა აწევითი შეკეთების საამქრო, რომელსაც გამოცდილი მევაგონე შალვა ლოჩიაშვილი ხელმძღვანელობს. გამოჩენილმა სტახანოველმა მექვაბემ პეტრე ცომაიამ, ელექტროშემდუღებელმა ნიკოლოზ ბაღდავაძემ და ზეინკალმა სარდიონ ხაჟალიამ ივლისის პირველ 12 დღეში გეგმის გადამეტებით შეაკეთეს 3 ვაგონი და დაამზადეს ასამდე სხვადასხვა სახის სათადარიგო ნაწილი.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ დურგალთა ბრიგადები. მევაგონე დურგლებმა ოთარ მიქელაძის ინიციატივით ხე-ტყის მასალების მომჭირნეობით გამოყენებით ივლისის პირველ დეკადაში 2 კუბმეტრი ხე-ტყის მასალის ეკონომია გასწიეს.

მძიმე წონის მატარებლებით

ზესტაფონელი მეელმავლეები თანდათან აძლიერებენ მძიმე წონის მატარებლებით სახელმწიფო ტვირთების გადაზიდვის ტემპს. ნორმის გადამეტებით სისტემატურად გადაიქვთ ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები. ივნისში ზესტაფონელმა მეელმავლეებმა მძიმე წონის 167 მატარებელი წაიყვანეს და ნორმის გადამეტებით 91.728 ტონა ტვირთი გადაიტანეს.

მძიმე წონის მატარებელთა წაყვანაში სახელი გაითქვეს მემანქანეებმა ზ. რობაქიძემ, გ. თურქანიძემ, გ. კვანტარიშვილმა და ნ. ცხვარაძემ. ისინი თვალსაჩინოდ ზრდიან ელმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენს, გადამეტებით ასრულებენ ტექნიკური სიჩქარის ნორმას.





სურათებზე: მარცხნივ — ქარელის რაიონის აგარის მტს-ის მოწინავე კომბაინერი ზაქარია ჩუტკერაშვილი, რომელიც ყოველდღიურად საშუალოდ 20-25 ჰექტარზე იღებს მოსავალს და თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 16 ცენტნერს. მარჯვნივ — კომბაინერ ზ. ჩუტკერაშვილის აგრეგატი პურეულის მკაზე სოფელ ქვინატკოცის კოლმეურნეობაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

საქართველოს კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიური დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

• • •

ვალდებულებები სრულდება

წითელწყაროს მტს-ში

შალვა მოსაშვილმა წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 270 ჰექტარზე მეტი და უკვე გაანადღა ვალდებულება — გალეწა 600 ტონა მარცვალი.

ვეგენა შამშიაშვილი როდი ჩამორჩა მოწინავე კომბაინერებს. მან ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 296 ჰექტარზე, გადაჭარბებით შეასრულა ვალდებულება — გალეწა 640 ტონა პური. ახლა დღეში იღებს 20-21 ჰექტარს და თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 20-22 ცენტნერ მარცვალს.

ანდრია კრავჩენკომ „კომუნარის“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 240 ჰექტარზე და გალეწა 400 ტონა მარცვალი.

მიხეილ დარჩიაშვილი მოსავალს იღებს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მან უკვე მომკა 230 ჰექტარი და გალეწა 486 ტონა პური.

ალექსი ელიზბარაშვილს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში მომკილი აქვს 260 ჰექტარი, ხოლო გალეწილი — 554 ტონა მარცვალი, დღეში მკის 18-20 ჰექტარს, ლეწავს 40 ტონაზე მეტ მარცვალს.

გიორგი მიზაძე წითელწყაროს მტს-ში აგარის მტს-დან მოვიდა. მას ასაღებად მოუჩინეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფართობები. ერთ კვირაში „სტალინეც-6“-ით მომკა 100 ჰექტარზე მეტი. დღეში მკის 20 ჰექტარს, ლეწავს 42-43 ტონა მარცვალს. იგი იმისათვის იბრძვის, რომ მოსავალი აიღოს 300 ჰექტარზე.

ალაზნის მტს-ში

მიხეილ ლაზარიაშვილი წარმატებით განაგრძობს მოსავლის აღებას. ვალდებულებით გათვალისწინებული 500 ჰექტარიდან უკვე მომკა 400 ჰექტარზე მეტი და გალეწა 600 ტონა მარცვალი. ამით გაანაღდა მარცვლის გალეწვის ვალდებულება. ახლა იგი მუშაობს ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში და დღეში მკის 20 ჰექტარს, თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 22 ცენტნერ ხორბალს. ამ დღეებში ტარას მენთეშაშვილს აგრეგატიდან მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა მიხეილ ლაზარიაშვილს.

გიორგი გალეკინი მუშაობს ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში. მას მომკილი აქვს 210 ჰექტარი. გალეწა 450 ტონა პური. გუშინ მომკა 18 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 23 ცენტნერი ხორბალი.

ვასილ ონუფრიენკომ ამავე კოლმეურნეობაში მომკა 130 ჰექტარი, გალეწა 420 ტონა მარცვალი. დღეში იღებს 17-20 ჰექტარს და ჰექტარზე საშუალოდ ლეწავს 20-21 ცენტნერ ხორბალს.

ლაგოდეხის მტს-მა შეასრულა კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა

ლაგოდეხის მტს-მა 19 ივლისისათვის 101 პროცენტით შეასრულა კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა. ლაგოდეხელმა მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოსავალი აიღონ 500 ჰექტარზე.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა (გარდა სიმინდისა) 11 ივლისისათვის შეასრულეს 102 პროცენტით.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობები პიდროელექტროსადგურების მშენებლებთან

ლაჯანურიპესის მშენებლობა. (ხპეც. კორ.). ამ დღეებში ლაჯანურიპესის მშენებლობაზე იყო თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც ქუთაისში იმყოფებოდა გასტროლებზე. მან მაყურებელს უჩვენა სპექტაკლები „პროკურორის ქალიშვილი“ და „კიბობი“.

ენერგომშენებლებს დასის სახელით მიესალმა თეატრის დირექტორი დ. ანთაძე.

სპექტაკლებმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ მშენებლებმა რამდენიმე დღეში ამ თეატრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ააგეს 500 მაყურებლისათვის განკუთვნილი ახალი საზაფხულო თეატრი.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივმა რამდენიმე დადგმა უჩვენა აგრეთვე გუმათჰესის მშენებლებს.

საქართველოს სხვა თეატრების კოლექტივებიც უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი რესპუბლიკის დიდ ჰიდროელექტრონაგებობათა მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ მომსახურების საქმეში, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობთა მაგალითისამებრ გამოსვლელი სპექტაკლები გამართონ უშუალოდ მშენებლობებზე.

ლენინგრადი

18 ივლისს ქალაქის 13 სტადიონზე გაიმართა რაიონული სპორტული დღესასწაული. ჭარხნებისა და ფაბრიკების ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ქალაქობაში, ფეხბურთში.

ცურვაში ტრადიციული შეჯიბრება გაიმართა ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. პარკში მოეწყო მცირე ინტერესით ნახეს კოშკიდან და ტრამპლინიდან წყალში ხტომა. აქვე გაიმართა მოსწავლეთა სრულიად რუსეთის სპარტაკიადის მონაწილეთა შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში. სატრალო თეატრში ღია რინგზე გამოვიდნენ ლენინგრადის საუკეთესო მოკრივეები; მოჭიდრაკეებმა — სპორტის ოსტატებმა გამართეს ერთდროული თამაში სეანსი.

სასპორტო შეჯიბრებები გაიმართა აგრეთვე ზელენოგორსკში, პუშკინოში და ლენინგრადის სხვა გარეუბნებში.

ბაქო.

ათეულ ათასობით ბაქოელმა, რომლებითაც დღეს აივსო სტადიონების, წყალჯოგირდობის აუზების, სასპორტო მოედნების ტრიბუნები, ნახა საინტერესო შეჯიბრებანი, საჩვენებელი გამოსვლები. ტრადიციის მიხედვით დღესასწაულის ცენტრი გახდა სტალინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. აქ პარადში მონაწილეობა მიიღო ათასობით ფიზკულტურელმა. შემდეგ საუკეთესო სპორტსმენებმა, წარმოების მუშაკებმა აღმართეს ბაქოს ნავთობის ტრესტების, ფაბრიკებისა და ქარხნების მეექვსე სპარტაკიადის — აზერბაიჯანელ ფიზკულტურელთა ყველაზე მასობრივი შეჯიბრების ალამი. სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღეს 83 საწარმოო კოლექტივის წარმომადგენლებმა.

სასპორტო დღესასწაულის ბოლოს ათინეს ფეიერვერკი. ჰაერში ავარდა ბევრი ფერადი შუშხუნა.

ერევანი.

ბევრი ხალხი იყო დღეს ერევნის სტადიონებსა და სასპორტო მოედნებზე. აქ მოეწყო მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი.

რესპუბლიკურ სტადიონზე ფიზკულტურელთა პარადის შემდეგ გაიმართა უძლიერესი მძლეოსნების, ტანმოვარჯიშეების, მოჭიდავეების, მოკრივეების, მოფარიკავეების საჩვენებელი გამოსვლები. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ სტეპანაკერტ — ერევნის მარშრუტით მოტოგადარბენის მონაწილეებს. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის კომკავშირულ სპორტსმენებს მიესალმნენ კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები. შემდეგ სტარტი მიეცა მოტოგადარბენის მარშრუტით ერევანი-სტეპანაკერტი-ერევანი, რომლის მონაწილენი არიან ქალაქის ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურეები.

მასობრივი სპორტული დღესასწაული გაიმართა აგრეთვე ლენინაკანში, კიროვაკანსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

კომბაინერ ს. ოგანეზოვის წარმატება

კაჰრეთი. („კომუნისტის“ კორ.).

პურეულის მკის საქმეში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ბადიაურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერი სურენ ოგანეზოვი. იგი მკის დაწყების პირველი დღიდანვე შეუფერხებლად ამუშავებს მანქანას. შედეგიც კარგია. სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 13 სამუშაო დღეში მან პურეული მომკა 270 ჰექტარზე, გალეწა 600 ტონა. მის მიერ აღებული ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი ხორბალი.

ამ დღეებში მტს-ის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ შეაჯამეს კომბაინერთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები. პირველი ადგილი მიეკუთვნა ს. ოგანეზოვს.

ახლა ს. ოგანეზოვის კომბაინზე ფრიალებს გარდამავალი წითელი დროშა. იგი იბრძვის იმისათვის, რომ უფრო მეტი წარმატება მოიპოვოს და დროშა შეინარჩუნოს. მისი პირობა ასეთია: სეზონში დამატებით კიდევ აიღოს 110 ჰექტარი და გალეწოს 200 ტონა ხორბალი.

მოწინავე კომბაინერი ს. ოგანეზოვი შეუდგა ნაკისრი ვალდებულების განაღდებას, 18 ივლისს პურეული მომკა 25 ჰექტარზე და გალეწა 60 ტონა. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი ხორბალი.

მეაბრეშუმეობის წარჩინებული რგოლები

ახმეტა. (საკ. კორ.).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას ქისტაურელი მეაბრეშუმეები ახალი წარმატებებით ხვდებიან. მერგოლურმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ოსანა აივაზაშვილმა 5,6 კოლოფი აბრეშუმის თესლიდან 576 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩაბარა სახელმწიფოს, გეგმა კი 268 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ქისტაურში მეაბრეშუმეობის წარჩინებული რგოლები სხვებიც არიან. რგოლმა, რომელსაც ვართო კვიცაშვილი ხელმძღვანელობდა, გეგმის გადამეტებით 381 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო. ნუშო დურგლიშვილის რგოლმა გეგმის გადამეტებით 350 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა სახელმწიფოს.

ოპერა „მარინეს“ განხილვა

მოსკოვი.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.). ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რა დიდი წარმატებით სარგებლობს მოსკოვში და საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში მ. ბარათაშვილის კომედია „ჭრიჭინა“. აგრეთვე ცნობილია, რომ სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრმა დადგა რ. გაბიჩვაძის მუსიკალური კომედია ამავე ნაწარმოების მიხედვით.

ამას წინათ სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლის დიდ დარბაზში კომპოზიტორთა ცენტრალურმა სახლმა და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საოპერო კომისიამ მოაწყეს ა. შავერზაშვილის კომიკური ოპერის „მარინეს“ („ჭრიჭინას“) მოსმენა. ლიბრეტოს ავტორია მ. ბარათაშვილი, რუსული ტექსტი ეკუთვნის ე. ალექსანდროვას.

ახალ მუსიკალურ ნაწარმოებში როლებს ასრულებენ სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭოთა ოპერის ანსამბლის მსახიობები.

ოპერა „მარინეს“ განხილვა გაიმართა აგრეთვე კომპოზიტორთა ცენტრალურ სახლში.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში

ლენინის სახელობის მაღარო ყველაზე დიდი საწარმოა ჭიათურაში. მაღაროს კოლექტივი მარგანეცის ტრესტის მთელი პროდუქციის ნახევარს აძლევს სამშობლოს. იგი მოწინავე, რენტაბელური საწარმოა. აქაური მაღაროელები ყოველი ახალი საქმის თაოსნები არიან, თავდადებით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის. ამ ბრძოლის სათავეში არიან მაღაროელი კომუნისტები, პარტიული ორგანიზაცია.

სამეურნეო წლის დასაწყისში მაღაროს პარტიულმა კომიტეტმა კომუნისტთა ჯგუფს დაავალა დაწვრილებით შეესწავლა შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობანი. ჯგუფში შედიოდნენ მოწინავე ინჟინერები და მაღაროელები, უბნებისა და ცვლების უფროსები, პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომუნისტთა ჯგუფმა მაღაროს ყველა შესაძლებლობა გულდასმით აწონ-დაწონა და თავისი მოსაზრებანი პარტიულ კომიტეტს წარუდგინა. ამის საფუძველზე პარტიული კომიტეტის სხდომამ ივნისში განიხილა საკითხი 1954 წლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. კომუნისტთა თაოსნობით ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი ჭიათურაში სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებად გამოვიდა. მან შეჯიბრებაში გამოიწვია ჭიათურის სტალინის სახელობისა და ნიკოპოლის მაქსიმოვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. გაჩაღდა ბრძოლა მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

მექანიზმები შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მექანიზმების მთელი სიმძლავრით მუშაობას. მაღაროს მეექვსე და მეათე უბნებში მექანიზებული ტვირთვის გეგმა არ სრულდებოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ დაწვრილებით იმსჯელა ამ საკითხზე. გამოირკვა, რომ უბნებში მარგანეცის სატვირთავ მანქანებს სრული წარმადობით ვერ ამუშავებდნენ, არ ხდებოდა მექანიზმების წინასწარი შეკეთება, ამასთან კვალიფიციური მემანქანეებიც არა ჰყავდათ საკმაო რაოდენობით. დიდი შეფერხებებით ხდებოდა სანგრევებში შეკუმშული ჰაერის მიწოდება. პარტიულმა კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ საგრძნობლად გაზარდა მექანიზმების წარმადობა.

მაღაროს კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 28 მოწინავე საწარმოს პატრიოტულ წამოწყებას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. აპრილის პირველ რიცხვებში პარტიული კომიტეტის დადგენილებით მაღაროს დირექტორს, მთავარ ინჟინერს, მგეგმავ-ეკონომისტსა და უფროს ნორმადარს დაევალათ გულდასმით შეესწავლათ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები და შესაძლებლობანი. ასეც მოხდა. ამ ახალ შესაძლებლობათა გათვალისწინებით მაღაროს კოლექტივმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრა და თავის მხრივ მოწოდებით მიმართა ჭიათურის ყველა მაღაროელს.

მაღაროელი კომუნისტები სერიოზულად მუშაობენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და რეზერვების გამოვლინების საკითხებზე, საწარმოს მთელ კოლექტივს რაზმავენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მაღაროს პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის შექმნილი წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მუშაობას. ამ სემინარს მაღაროს დირექტორი შ. პაქსაშვილი ხელმძღვანელობს. სემინარში არა ერთი რეფერატი იქნა წაკითხული წარმოების ეკონომიკის საკითხებზე. მსმენელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მაღაროს უფროსი ნორმადარის ბ. კუპატაძის მოხსენება თემაზე — „ტექნიკური დანორმვა და ხელფასის ორგანიზაცია სოციალისტურ წარმოებაში“.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებზე შინაარსიან საუბრებს მართავენ კომუნისტი აგიტატორები ი. ბაირამაშვილი, ა. ნასარიძე, ზ. კუპატაძე, გ. ჩაჩანიძე, ნ. კოტოლოვი, პ. ჩაჩანიძე და სხვები.

მაღაროს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ექვსი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით და ქვეყანას რამდენიმე ასეული ათასი მანეთი ეკონომია მისცა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის ხუთ თვეში შრომის ნაყოფიერება მაღაროში გაიზარდა 8,3 პროცენტით, ხოლო ფაბრიკაში — 18,7 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვება გასულ წელთან შედარებით 21,4 პროცენტით გადიდდა. იმ უბნებმა, რომლებსაც კომუნისტები პ. ჩაჩანიძე, ზ. მახათაძე, დ. საყვარელიძე, გ. ჩაჩანიძე, კომკავშირელები ნ. ჩხენკელი, გ. გიქოშვილი და სხვები ხელმძღვანელობენ, შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით 15-25 პროცენტით გაზარდეს.

მართალია, მაღაროს კოლექტივს გარკვეული წარმატებანი აქვს მოპოვებული, მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვი ჯერ კიდევ მთლიანად როდია გამოყენებული. ჭიანურდება მაღაროს გადაყვანა მთლიან მექანიზაციაზე, რაც წელს არის გათვალისწინებული. ყველა უბანი სრული დატვირთვით ვერ იყენებს სამთო მექანიზმებს, სერიოზული შეფერხებით მუშაობს საკომპრესორო მეურნეობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჯერ კიდევ ვხედებით ფორმალიზმის ელემენტებსა.

მაღაროელი კომუნისტები, რომლებიც სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, კიდევ უფრო დარაზმავენ მშრომელებს, აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს და მთლიანად გამოიყენებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წულუკიძის რაიონში

ქალაქის ბაღის კეთილმოწყობა

შესანიშნავი ხეივანი აქვს ცენტრალურ ბაღს, რომელიც ქალაქ წულუკიძის მშვენებას წარმოადგენს. წელს ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა მისი კეთილმოწყობისათვის. მოეწყო გაზონები ყვავილნარებით, ხოლო ხეივნის შესავსებად დაირგო 1.000 ძირი მარადმწვანე მცენარე და 300 ძირი პალმა.

ბაღის შუაგულში აღმართულია გამოჩენილი რევოლუციონერის ა. წულუკიძის ძეგლი, რომლის ირგვლივ გაშენდა ყვავილნარი. დასასრულს უახლოვდება არქიტექტურულად გაფორმებული შესასვლელის მშენებლობა და ლამპიონების დადგმა.

სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები

სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ცენტრში წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის სამი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. თვითეულ სახლს ექნება 14 ბინა. ამათგან ერთი სახლის მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია.

სოფლების ელექტროფიკაცია

აღსანიშნავია სოფელ გოჩა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა თაოსნობა. კოლმეურნეებმა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი გაიყვანეს, ორი კოისკი ააგეს და მთელი სოფლის ელექტროფიკაცია განახორციელეს. ახლა ამ სოფლის კოლმეურნეობის კანტორა, სკოლა, სასოფლო საბჭო, საავადმყოფო, სასოფლო მაღაზია, მეცხოველეობის ფერმები და კოლმეურნეთა ბინები ილიჩის ნათურებით არის გაჩირაღდნებული.

ელექტროფიცირებულია აგრეთვე წულუკიძის რაიონის სოფლები გუბი და ქუტირი.

ვ. კოპალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩინელ მოსწავლეთა წერილი ახალციხელ პიონერებს

ახალციხე. (საკ. კორ.). ფოსტაში მოვიდა ბარათი. კონვერტს ჩინურ და რუსულ ენებზე აქვს წარწერა: „ახალციხის პიონერთა სახლს“.

„ძვირფასო მეგობრებო! — წერია ბარათში. — ამ წერილს ვწერთ შორეული მხრიდან — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან. 1.600 მოსწავლე ვსწავლობთ ქ. კანტონის პირველ საშუალო სკოლაში. წერილის ავტორები ვართ მე-9 კლასის მოსწავლეები. ჩვენს კლასში 45 ახალგაზრდაა, აქედან 11 დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის წევრია. გადავწყვიტეთ მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს ჩვენს შორის. ძლიერ გვსურს საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში — საქართველოში თქვენი სახით გვყავდეს კარგი ნაცნობ-მეგობრები...“

მოსწავლეთა დავალებით წერილს ხელს აწერენ ჩენ ლუ-ვენი და ლუ ზიჩიანი.

ახალციხელმა პიონერებმა გულთბილად გაიზიარეს ჩინელი ახალგაზრდების სურვილი, გაუგზავნეს მათ მხურვალე მეგობრული სულისკვეთებით გამსჭვალული პასუხი და საჩუქრები.

ალვკვეთოთ უპასუხისმგებლობა ქალაქის მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმეში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აღწევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას. მოწინავე კოლმეურნეობებმა წელს პირველად გამოიყენეს მოსავლიანობის გადიდების ახალი პროგრესული მეთოდები, როგორიცაა კარტოფილისა და სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, პამიდორისა და სხვა ბოსტნეული კულტურების ჩითილების გამოყვანა ტორფნეშომპალის ქოთნებში და სხვ. ამის შედეგად კოლმეურნეობებმა და სპბჭოთა მეურნეობებმა უფრო ადრე მიიღეს კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავალი.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებისათვის კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის მიწოდებაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხედებით. ამ საქმეში აშკარა დანაშაული მიუძღვით თბილხილბოსტანვაჭრობის მუშაკებს. მათ ცოცხალი, ოპერატიული კავშირი არა აქვთ კოლმეურნეობებთან და დამამზადებელ ორგანიზაციებთან. ისინი გულხელდაკრეფილნი ელოდებიან, თუ დამამზადებელი ორგანიზაციებისაგან როდის მიიღებენ ამ პროდუქტებს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თბილხილბოსტანვაჭრობის ქსელში—მაღაზიებსა და ფარდულებში ვერ ნახავთ პამიდორს, კიტრს, ხახვს, საზამთროს, ვაშლს, მწვანილს...

შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ თბილხილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიას წელს უმნიშვნელო რაოდენობით აქვს მიღებული პამიდორი. არ გააჩნია საზამთრო, ხარისხოვანი კიტრი, ხახვი და სხვა ბოსტნეული. უფრო მეტი — 19 ივლისს თბილხილბოსტანკაჭრობის დირექციამ მარნეულის რაიონში მანქანები გაგზავნა ბოსტნეულის ჩამოსატანად. ექსპედიტორმა გ. ფოლადიშვილმა კიტრისა და პამიდორის ადგილზე მიღებას მოანდომა მთელი დღე და მხოლოდ 20 ივლისს, დატვირთული მანქანით, ყოველგვარი წინასწარი განრიგის გარეშე შემოუარა მაღაზიებს. პირველად მივიდა თბილხილბოსტანვაჭრობის № 2 მაღაზიაში. სექციონერის მოადგილემ ა. ოგანოვმა კიტრის მიღებაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მას თითქოს უკეთესი ხარისხის კიტრი ჰქონდა გასაყიდად. ფაქტიურად ასე როდი იყო. ამ დღეს მაღაზია ყიდდა ნახევრად დამპალ კიტრს. შემდეგ ექსპედიტორმა ფოლადიშვილმა დატვირთული მანქანით მიაკითხა თბილხილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიას. აქაც მას უარი განუცხადეს, კიტრის ხარისხი არ მოეწონათ. ასე ატარებენ კიტრითა და პამიდორით დატვირთულ მანქანას თბილისის ქუჩებში...

— რა ვქნა, თბილხილბოსტანვაჭრობის დირექციას არ მოუცია განრიგი თუ რომელ მაღაზიას რა რაოდენობით ჩავბარო კიტრი და პამიდორი. ისევ მე უნდა ვეძებო მაღაზიები, რომელიც ამ საქონელს მიიღებს, — განაცხადა ექსპედიტორმა გ. ფოლადიშვილმა.

ცხადია ასეთი უთავბოლო მუშაობის შედეგად ფუჭდება და მომხმარებლამდე ვერ აღწევს საკოლმეურნეო მინდვრებიდან მიღებული დოვლათი.

— პამიდორი გაქვთ? — შეეკითხეთ თბილხილბოსტანვაჭრობის № 20 ფარდულის (ორჯონიკიძის რაიონი) გამგეს ს. დავიდოვს.

— რას ამბობთ, წელს მაღაზიაში პამიდორი სულ არ გვქონია.

— ვაშლი? ხახვი? საზამთრო? მწვანილი?...

ყოველ ჩვენ კითხვაზე პასუხი ერთი იყო — არა!

ამ ფარდულს მომხმარებლისათვის ხხოლოდ გაყვითლებული, უხარისხო კიტრი გააჩნდა.

აღნიშნული ფარდული ეკუთვნის თბილხილბოსტანვაჭრობის № 3 მაღაზიას (გამგე ა. თორაძე), მაგრამ უკეთესი მდგომარეობა არც ამ მაღაზიაშია. 20 ივლისს აქ იყიდებოდა მხოლოდ ტყემალი და კიტრის წნილი.

ბოსტნეულის ამ მცირე ნაწილსაც მომხმარებელს ზოგან არაწესიერად აწვდიან მაღაზიის მუშაკები. მაგალითად, თბილხილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიაში რ. სარიშვილი კიტრის წნილს კასრიდან იღებდა ხელით, თუმცა მას საამისოდ სათანადო მოწყობილობა ჰქონდა, მაგრამ რატომღაც არ იყენებდა. ამავე მაღაზიაში ადგილი აქვს პამიდორის გადარჩევასა და გადანახვას „ნაცნობებისათვის“. ყოველივე ეს მომხმარებლის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

თბილხილბოსტანვაჭრობის ზოგიერთ მაღაზიაში ბოსტნეულს ინახავენ შეუფერებელ ადგილებში. № 2 მაღაზიაში ბოსტნეული რაც გააჩნიათ, ისიც მოუვლელია. ჩვენ ვნახეთ დახლის ქვეშ უსუფთაოდ დაყრილი, სანახევროდ გაყვითლებული, დამპალი კიტრი, რომელზეც გამყიდველის ვ. ქობულაშვილის თვალწინ კატას დაესაბუდრებინა და მყუდროდ ეძინა. ამავე მაღაზიის საწყობის კარებთან დგას სანაგვე ყუთი, რაც ანტისანიტარულ მდგომარეობას ქმნის. ასეთ მდგომარეობაში კულტურულ ვაჭრობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მოუგვარებელია აგრეთვე ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მიზიდვა დამზადების პუნქტებიდან სავაჭრო ქსელამდე. გარდა იმისა, რომ გადაზიდვა ყოვნდება ტარა მასალის საკმაო რაოდენობით უქონლობის გამო, ხილ-ბოსტნეულს მანქანის ძარაში ტონობით ყრიან, რაც იწვევს პროდუქტების შეხურებას, ხარისხის გაუარესებას, მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაფუჭებას.

თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში ვერ შეხვდებით კარტოფილს. მაშინ, როცა თბილისიდან ... ბოსტნეულის უხვი მოსავალია. მაგალითად, ბოლნისის რაიონში ასეული ტონობით კარტოფილის დამზადება შეიძლება. სამწუხაროდ სავაჭრო და დამამზადებელი ორგანიზაციები ამ შესაძლებლობას არ იყენებენ.

თბილისის მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგებაში არც თუ მცირე ხვედრითი წონა აქვს საკოლმეურნეო სავაჭრო ქსელს. ეს ქსელი არც ისე მცირეა, მაგრამ უპასუხისმგებლობის გამო მრავალი საკოლმეურნეო წერტი გამოცარიელებულია და გამოკეტილი. მაგალითად, თბილისის სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში გარდაბნის რაიონის სოფელ თაზანქედის ვოროშილოვის სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის სტალინის სახელობის, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობების სავაჭრო წერტები 20 ივლისს დაკეტილი იყო პროდუქტების უქონლობის გამო.

ცნობილია, რომ თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებს, პირველ რიგში კი ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას უხვად შეუძლია მიაწოდოს დედაქალაქის მშრომელებს ბოსტნეული. მათი პირობაც ასეთი იყო. მაგრამ ეს პირობა ქაღალდზე დარჩა. ამ კოლმეურნეობამ სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში გახსნილი წერტის მეშვეობით 20 ივლისამდე გაყიდა რაღაც 400 კილოგრამამდე პამიდორი, არ შემოუტანია არც ერთი კილოგრამი კიტრი და სხვა ბოსტნეული. უკეთესი მდგომარეობა გარეუბნის რაიონის არც სხვა კოლმეურნეობებშია.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა ცდილობს არასტანდარტული, დაბალხარისხოვანი ხილ-ბოსტნეულის ჩაბარებით მოიშოროს სახელმწიფო ვალდებულება და დამამზადებლებს ხელში აჩეჩებენ უვარგის ხილ-ბოსტნეულს, მაღალხარისხოვან პროდუქტებს კი საკოლმეურნეო ბაზრებში მიეზიდებიან სარეალიზაციოდ. დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციები ზოგჯერ უსიტყვოდ იღებენ ასეთი დაბალი ხარისხის ხილ-ბოსტნეულს და შეაქვთ იგი სავაჭრო ქსელში.

პარტიის დავალება ქალაქის მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების შესახებ მტკიცედ უნდა შესრულდეს. დღემდე არსებული მდგომარეობა კი მოუთმენელია. დროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა ქალაქში.

გ. ხენგავა,
შ. ჭოჭუა,
ვ. მეგუკე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დრო არ იცდის, ყოველი დღე ძვირფასია“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 18 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია. მასში გაკრიტიკებული იყვნენ გორის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგური და ცალკეული კოლმეურნეობები პირუტყვის საკვების მომზადების საქმეში არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის.

გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში ნაყენებული ფაქტები დადასტურდა. საკითხი მიმდინარე წლის 25 ივნისს განხილა რაისაბჭოს აღმასკომმა. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად კორესპონდენციაში მხილებული ნაკლოვანებანი დროულად იქნა გამოსწორებული.

გავაძლიერეთ მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს მეცხოველეობის სწრაფი განვითარების კონკრეტული პროგრამა. ამ გადაუდებელი ამოცანის წარმატებით განხორციელების გზები და საშუალებები მოცემულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებში.

პარტიის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად სერიოზული მუშაობაა გაჩაღებული რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ხორციელდება ღონისძიებანი პირუტყვის უზრუნველსაყოფად საკვებით და საუკეთესო მოვლა-პატრონობით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეცხოველეობის შემდგომი სწრაფი განვითარების ყველა შესაძლებლობა აქვთ. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არსებულ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად საჭიროა ზრუნვა ადამიანებისათვის, მწყემსებისათვის, მათ შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაჩაღება. სამწუხაროდ, ამ მხრივ ბევრგან ჯერ კიდევ არა გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის საძოვრებზე წითელწყაროს, საგარეჯოს, კაჩრეთის, თბილისის გარეუბნისა და ბოგდანოვკის რაიონების კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობები ჯერ კიდევ ცუდია, ხოლო სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. აქ მწყემსთა საცხოვრებელი ნინები უვარგისია. არა აქვთ საწყობი რძის პროდუქტების და სხვადასხვა ნივთების შესანახად. არ გააჩნიათ ისეთი აუცილებელი ინვენტარი, როგორიც არის სკამები, საწოლები და სხვ. აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის არ ზრუნავენ.

ცეკავშირმა მწყემსები უვარგისი ნაბდებით მოამარაგა, ნაწილს არ მიუღია საწვიმრები და ჩექმები. მათ არ აწვდიან პირველი მოთხოვნილების საგნებს, როგორიც არის ასანთი, თამბაქო, საპონი, შაქარი და სხვ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ცეკავშირის გამგეობამ და მისმა ხელმძღვანელმა ამხ. მ. ნარსიამ არ მიიღეს საჭირო ზომები მწყემსთა მომარაგებისათვის. ცეკავშირის სუსტ მუშაობაზე მეტყველებს ისიც, რომ მან არ მიაწოდა ფერმების მომსახურე მუშაკებს პირველი საჭიროების მოხმარების საგნები. ამ საქმის მოგვარება აუცილებელია და იგი მთლიანად დამოკიდებულია ცეკავშირის ხელმძღვანელ მუშაკთა მოქნილ მუშაობაზე.

ცალკეული ფერმების ბრიგადებში მწყემსებს თოფები აქვთ, მაგრამ ტყვიაწამალი არ მოეპოვებათ. საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობა (ამხ. ა. კვარაცხელია) უნდა დაინტერესდეს ამ საქმით და მიიღოს ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის მე-19 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში, და არა მარტო აქ, არამედ მთელი ბოგდანოვკის რაიონის საძოვრებზე განლაგებულ ფერმებში, მოწყობილი არ არის საველე აბანოები. წითელწყაროს, სიღნაღის, კაჩრეთის, საგარეჯოს, ბოგდანოვკის და თბილისის გარეუბნის რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები გულგრილად ეკიდებიან მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

მეცხოველეობის თითქმის ყველა ფერმასა და ბრიგადაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სამედიცინო მომსახურება. მეცხოველეობის ცალკეულ ბრიგადებს არა აქვთ მედიკამენტები, საველე აფთიაქები, მაშინ როცა ამ საქმის მოგვარება ადვილად შეიძლება. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის ცენტრში 200-მდე საველე აფთიაქია. საჭიროა კოლმეურნეობებმა შეიძინონ და გაგზავნონ ისინი იალაღებზე.

სრულიად მივიწყებულია სააგიტაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მწყემსთა შორის. ჩვენს პირობებში წარმოუდგენელია, რომ კაცმა გაზეთი არ წაიკითხოს, არ გაიცნოს ახალ ამბებს. როგორ არის საქმე ამ მხრივ ფერმებში მწყემსთა შორის? მწყემსები ზოგჯერ თვეობით ვერ კითხულობენ გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს. შეიძლება თუ-არა ამ საქმის მოგვარება? რა თქმა უნდა, შეიძლება. მწყემსებს დიდი სურვილი აქვთ გამოიწერონ გაზეთები, ჟურნალები, წაიკითხონ და გაეცნონ საინტერესო ამბებს, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას. ბოგდანოვკის რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილება გაზეთებს მიიტანს, მაგალითად, სოფელ გორელოვკის საფოსტო განყოფილებაში, აქ კი ყოველდღიურად ჩამოდიან საძოვრებიდან მუშაკები აუცილებელი საკითხის მოსაგვარებლად და ადვილად შეუძლიათ მაჩოდონ გაზეთები ცალკეული ბრიგადების მწყემსებს. საჭიროა ამ საქმის ორგანიზაცია. ეს კი მთლიანად დამოკიდებულია რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებზე.

ვერც ერთ ბრიგადაში ვერ ნახავთ გაზეთს, ჟურნალს, წიგნს. ამასთან არა აქვთ მაგიდები, წიგნის კარადები. არც ამ საკითხის მოგვარებაა რთული.

მწყემსთა შორის სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაჩაღებლად გამოყოფილი არ არიან აგიტატორები, არ იმართება საუბრები, მოხსენებები, ლექციები, ხოლო პარტიის წითელწყაროს, კაჩრეთის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტები ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევენ.

წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ა. ბიკაშვილი, ფერმის გამგე ი. კოხორაშვილი) აღნიშნულ საძოვარზე ჰყავს 4.700 სული ცხვარი, რომლებსაც მომსახურებას უწევს 20-ზე მეტი კაცი. ამ ფერმის მესამე ბრიგადის მწყემსებმა გონაშვილმა, ხარაშვილმა, ფიროსმანიშვილმა განაცხადეს: გასულ წელს მხოლოდ ერთხელ ამოვიდა კულტმუშაკი და ამოიტანა გაზეთები, ხოლო მიმდინარე წელს ჩვენთან საუბრები, მოხსენებები, ლექციები ერთხელაც არ გაუმართავთო. საზაფხულო საძოვრებზე ბრიგადებში ვერსად ვერ ნახავთ თვალსაჩინო აგიტაციის ისეთ ფორმებს, როგორიც არის პლაკატები, ლოზუნგები, დიაგრამები, მოწინავეთა დაფები. მოწინავე მწყემსები ბევრია, მაგრამ მათი გამოცდილების განზოგადება არ ხდება. არ გამოდის საველე გაზეთები და არ იყენებენ სხვა საშუალებებს ფერმის მუშაკთა წასახალისებლად.

რესპუბლიკაში ბევრი ორგანიზაციაა, რომელთა უშუალო მოვალეობაა მოაწყონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში კარგად მომზადებული ლექციები, მოხსენებები და საუბრები. მაგრამ საძოვრებზე, სადაც წყდება მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ბედი, ამ მხრივ არაფერი არ კეთდება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს (უფროსი ამხ. ი. ახვლედიანი) სალექციო ბიუროს ბოგდანოვკის რაიონის საძოვრებზე მწყემსთა შორის არ გაუმართავს არც ერთი ლექცია-მოხსენება. ასევე ითქმის მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების (ამხ. დ. ენუქიძე) შესახებ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარ სამმართველოს (უფროსი ამხ. მ. ბუჯიაშვილი) ამ მხრივ ყველაზე მეტი მოეთხოვება, მაგრამ ჯერჯერობით არაფერს არ აკეთებს. სოფლის მეურნეობის საკითხებზე მრავალი პოპულარული ხასიათის ბროშურა და პლაკატია გამოცემული, მაგრამ საზაფხულო საძოვრებზე მყოფი მწყემსებისათვის ისინი ჯერ არ მიუწოდებიათ. როგორც ჩანს, პროპაგანდის მთავარი სამმართველო თავის პირდაპირ მოვალეობას ივიწყებს.

მწყემსთა კულტურული გართობის მხრივ დიდი ამოცანები დგას რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე, მაგრამ არც გასულ და არც მიმდინარე წელს მწყემსებისათვის არ უჩვენებიათ კინოსურათები, მაშინ როცა ყველა რაიონს აქვს მოძრავი კინო და შეუძლია კულტურული მომსახურება გაუწიოს ფერმის მუშაკებს. კულტურის სამინისტრომ ქმედითი ზომები უნდა მიიღოს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ თვით ბოგდანოვკის რაბონის ფერმებში უფრო უარესი მდგომარეობაა მწყემსთა მომსახურების მხრივ, ვიდრე ამ რაიონში ჩამოსულ სხვა ფერმებში. ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეგის კალინინის სახელობის, ტორიის ორჯონიკიძის სახელობის და დურმის კოლმეურნეობათა ფერმები რაიონის ცენტრს 19 კილომეტრით არიან დაშორებული. მიუხედავად ამისა, პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის მუშაკები თავს არ იწუხებენ, არავითარ სააგიტაციო-მასობრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას არ ეწევიან მწყემსთა შორის. ეს ამ დროს, როცა ამ ფერმებს მომსახურებას უწევს 100-ზე მეტი მწყემსი. ოჯახის წევრებსაც თუ მივუმატებთ, რომლებიც აქვე მწყემსთა ბინებში ცხოვრობენ, მაშინ მათი რაოდენობა 200 კაცს გადაამეტებს.

ამოცანა ის არის, რომ მწყემსთა შორის სააგიტაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი გადავიტანოთ საზაფხულო საძოვრებზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამას წინათ განიხილა მწყემსთა შორის სააგიტაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხი და მიიღო სათანადო ღონისძიება. ეს დადგენილება განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

საზაფხულო საძოვრებზე მწყემსთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალი ამოცანების დონეზე აყვანა, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესება ყოველმხრივ შეუწყობს ხელს პირუტყვის მოვლის გაუმჯობესებას, მისი პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლებას.

ს. ლეჟავა,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის სექტორის გამგე.

პატრიოტული ინიციატივა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საუკეთესო პირობებს ქმნიან მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. ყოველწლიურად ფართოვდება სასკოლო ქსელი, იგება ახალი სასკოლო შენობები, იქმნება მტკიცე სასწავლო-მატერიალური ბაზა ბავშვთა აღზრდის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

მოზარდი თაობის აღზრდისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის საუკეთესო პასუხია ის უდიდესი სახალხო მოძრაობა, რომელიც ყოველწლიურად ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს ჩაღდება ჩვენს ქვეყანაში სკოლების უზრუნველსაყოფად შენობებით, ინვენტარითა და სხვა საჭირო მოწყობილობით.

ამ მხრივ წელს საუკეთესო ინიციატივა გამოიჩინეს ხაშურის რაიონის მშრომელებმა. გულდასმით განიხილა რა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი, ხაშურის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო აქტივმა შეიმუშავა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სკოლებისათვის დახმარების კონკრეტული ღონისძიება.

სოფელ ხცისის კოლმეურნეობამ და ხაშურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა იკისრეს საჭირო რაოდენობით გამოუყონ მუშახელი ხცისის საშუალო სკოლის მშენებლობას, მიაწოდონ 20 ათასი ცალი აგური, 40 კუბმეტრი ხის მასალა, დაეხმარონ ავტოტრანსპორტიდა და ცოცხალი გამწევი ძალით.

ცხრამუხისა და გომის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, ცხრამუხისა და სატივის კოლმეურნეობათა გამგეობებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა იკისრეს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით უზრუნველყონ ორ-ორი ოთახის მიშენება ცხრამუხისა და სატივის 8-წლიანი სკოლების შენობებისათვის. ამ საქმეში მათ ეხმარება ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და შენობა-ნაგებობათა ხაშურის დისტანცია.

აქტივმა იკისრა აგრეთვე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შეაკეთოს არსებული სასკოლო დგამ-ავეჯი; საწარმოებისათვის ზიანის მიუყენებლად დაამზადოს 50 ახალი მერხი, 30 დაფა, 25 კარადა და 60 მაგიდა; 15 აგვისტომდე უზრუნველყოს 61 სკოლის, 2 საბავშვო სახლისა და 3 საბავშვო ბაღის შენობათა მიმდინარე რემონტი, 14 სკოლისა და 2 სკოლისგარეშე დაწესებულების შენობათა კაპიტალური რემონტი; ყველა სკოლას 15 სექტემბრამდე მიუზიდონ სათბობი.

აქტივმა ყურადღება გაამახვილა პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების საკითხებზე და ღონისძიებაში ჩაწერა: „ყველა სკოლას გამოეყოს საჭირო მიწის ნაკვეთი, აღმოეჩინოს მათ დახმარება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებითა და მინერალური და ორგანული სასუქებით“.

საშეფო ორგანიზაციებმა იკისრეს აგრეთვე მოაყარონ ხრეში და მოკირწყლონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების შენობათა მისასვლელი გზები; ორ საშუალო და სამ რვაწლიან სკოლაში მოაწყონ სპორტო მოედანი; აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვაში იმ მიზნით, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი ჩარიცხულ იქნას სკოლაში; ქალაქთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით საჭირო დახმარება გაუწიონ ქალაქის სკოლებს.

ნაკისრ ვალდებულებაში აღნიშნულია მშობელთა კომიტეტების მუშაობისა და მასწავლებლებისათვის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების საკითხები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ამიტომ ხაშურელ მშრომელთა ინიციატივა პატრიოტული საქმეა და მხარდაჭერის ღირსია. საჭიროა რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა ორგანოები სათავეში ჩაუდგნენ სკოლისათვის საყოველთაო-სახალხო ზრუნვის პატრიოტულ მოძრაობას, ფართოდ დანერგონ ხაშურელთა ინიციატივა, უზრუნველყონ ყველა სკოლის სანიმუშოდ მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის.



კურორტი ახტალა. სურათზე: სანატორიუმის I კორპუსი.

ფოტო თ. გოგიაშვილისა.

★

ცაიშის მინერალური წყლები

სოფელი ცაიში ზუგდიდს 10 კილომეტრით არის დაშორებული. იგი გაშენებულია მდინარე ჯუმის ხეობაში. ცაიშის მინერალური წყლები ბევრ დამსვენებელს იზიდავს. აქ სამკურნალოდ მოდიან ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან.

ცაიშის მინერალური წყლები სხვადასხვა ტემპერატურისაა. ერთი წყაროს ტემპერატურა 24 გრადუსია, ხოლო მეორისა, რომელმაც 1951 წელს ამოხეთქა მიწის წიაღიდან, — 82-83 გრადუსს აღწევს. ეს უკანასკნელი იმითაც არის შესანიშნავი, რომ ხშირად რკინის მილებს ალღობს, ხოლო წყლის გარშემო ბალახები უვნებელი რჩება.

ეს მინერალური წყლები შეიცავს გოგირდს, ბრომს, რკინას, იოდს, ქლორს და მრავალ სხვა ელემენტს. მას იყენებენ რევმატიზმის, კანის (ფსორიაზი, უნივერსალური ეგზემა, დერმატიტები), ნერვულ, გინეკოლოგიურ, ჰიპერტონიულ დაავადებათა სამკურნალოდ.

მოსკოველი 17 წლის მიშა ტკანტირბერგი 30 აბაზანის მიღების შემდეგ განიკურნა სველი ეგზემისაგან. აქ მკურნალობდნენ და კარგი შედეგებიც მიიღეს პედაგოგთა დახელოვნების ლენინგრადის ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ნადეჟდა დექტერევსკაიამ, სტალინგრადელმა მუშამ ვასილ ანდრიუშენკომ, ვოროშილოვგრადელმა ხარატმა ალ. კოლოსნიკოვმა, უფელმა აგრონომმა ე. ბუშენოვმა, რიგელმა მქსოველმა ე. სკობალამ და სხვებმა. გასულ წელს აქ 10 ათასამდე ავადმყოფმა მიიღო აბაზანები, ხოლო მიმდინარე წელს უკვე 2 ათასზე მეტმა კაცმა იმკურნალა.

მიუხედავად ასეთი ბუნებრივი სიმდიდრისა, ცაიში ჯერ კიდევ არ გამხდარა მშრომელთა დასვენების კეთილმოწყობილ კერად. 32 აბაზანა, რომელიც აქ არის მოწყობილი, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს დამსვენებლების გაზრდილ მოთხოვნილებას. ცაიშის წყლები შეიძლება ზამთარშიც გამოყენებულ იქნას, მაგრამ კაპიტალური ნაგებობების უქონლობის გამო ეს ძვირფასი წყალი უქმად იღვრება, ხოლო ქუთაისიმშენი, რომელსაც დავალებული აქვს ცაიშის კურორტის მშენებლობა, დანაშაულებრივად აჭიანურებს მშენებლობას.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ცაიშის მინერალური წყლების შესწავლას და მათი კლინიკური ექსპლოატაციის საქმეს.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი წიგნები

ი. კუდრეავიჩი — „ბოსტნეულის მოყვანა მთელი წლის განმავლობაში“. მთარგმნელი დ. კანდელაკი. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 3.000, გვ. 89, ფასი 1 მანეთი.

ვ. კოპინაშვილი, ა. რუხაძე — „კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვის მექანიზაცია“. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 3.000, გვ. 26, ფასი 30 კაპ.

ხ. ჭუმბურიძე — „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საკვები საშუალებანი“. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 2.000, გვ. 103, ფასი 1 მან. 20 კაპ.

ი. ბაძოშვილი — „ძართული ნაზვატულიანი დუმიანი ცხვარი“. (გამოცემულია რუსულ ენაზე). სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 2.500, გვ. 150, ფასი 4 მან. 40 კაპ.

ზ. ხანთაძე, მ. გუგუშვილი, ს. ჩოჩია — „სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები“. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 3.000, გვ. 366, ფასი 6 მან. 40 კაპ.

დ. ცალქალამანიძე — „მინდვრად ბალახთესვა“. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 2.000, გვ. 78, ფასი 75 კაპ.

მ. დედაბრიშვილი — „დავნერგოთ ნათესბალახიანი სისტემა ხეხილის ბაღში“. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 3.000, გვ. 63, ფასი 75 კაპ.

ა. თავაძე — „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი“. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 7.000, გვ. 150, ფასი 4 მან. 10 კაპ.

ვ. სამილოვსკი — „თურქეთი უოლ-სტრიტის სამფლობელო“. მთარგმნელი ე. ტოროტაძე. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 10.000, გვ. 102, ფასი 1 მან. 10 კაპ.

დ. ენუქიძე — „იმპერიალისტური ინტერვენციის კრახი ამიერკავკასიაში“. (რუსულ ენაზე). სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 7.000, გვ. 293, ფასი 4 მან. 60 კაპ.

„თავდაცვის ჯგუფი“—დამხმარე სახელმძღვანელო. თარგმანი **შ. ცაგარელისა,** მეორე რუსული შევსებული გამოცემიდან. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 3.000, ფასი 5 მან. 40 კაპ.

ტურისტები მესტიაში

მესტიაში ყოველწლიურად მრავალი ტურისტი ჩამოდის. მარტო ივნისში ჩამოვიდა 80-ზე მეტი ტურისტი.

ამ დღეებში ჩამოვიდა ტურისტთა ერთი ჯგუფი 67 კაცის შემადგენლობით. ჯგუფი გამოვიდა საზოგადოება „სპარტაკის“ ბანაკიდან, რომელიც მოთავსებულია ბაქსანში. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ტურისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, როსტოვიდან, ხარკოვიდან, კრასნოდარიდან, ნალჩიკიდან, ორჯონიკიძიდან და სხვა ქალაქებიდან. ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობენ ქალებიც.

ტურისტები ეცნობიან სვანეთის ზნეჩვეულებებს, სვანურ კოშკებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და სხვ.

ტურისტთა მარშრუტია ბაქსანი ბეჩოს გადასასვლელით, ბეჩო ბალის გადასასვლელით, მესტია მესტიის გადასასვლელით, ბაქსანი. ჯგუფს ხელმძღვანელობს ალპინიზმის ინსტრუქტორი ი. პ. ლეონოვი.

ტ. არღვლიანი.

მოდრეიფე სამეცნიერო სადგურზე

19 ივლისს საკავშირო კორესპონდენტი რადიოთი დაუკავშირდა ცენტრალურ არქტიკაში მოდრეიფე სამეცნიერო სადგურის უფროსს ა. ფ. ტრეშნიკოვს.

მოსკოვი: — გამარჯობა, გთხოვთ გვიამბოთ, როგორ ცხოვრობს და მუშაობს თქვენი სადგურის კოლექტივი, როგორი ზაფხულია ცენტრალურ არქტიკაში?

ა. ფ. ტრეშნიკოვი: — ჩვენი სამეცნიერო დაბის ყოველ მხარეს გადაჭიმულია ყინულის მინდვრები და ყინულის ხორგები, თოვლის მკაფიო ცისფერი ლაქებით, ზედაპირზე შავად მოჩანს ყინულგასაყარი. აქ, არქტიკის ცენტრში ჩვენი მეცნიერთა ჯგუფი მუშაობს არქტიკის ბუნების კანონთა შესწავლაზე. მეტეოროლოგები და აეროლოგები, ჰიდროლოგები და ყინულის შემსწავლელები ყოველდღე აწარმოებენ ძვირფას სამეცნიერო დაკვირვებას, რაც დაეხმარება მეცნიერებას ამოიცნოს არქტიკის მოვლენათა საიდუმლოება.

ახლა ჩვენთან ზაფხულია, ჩვენს სიცრცეებზე პოლარული დღეა და განსხვავება დღესა და ღამეს შორის თითქმის არ არის. ხშირად თოვს. 6 ივლისს, როცა მოსკოვში ჰაერის ტემპერატურა იყო პლუს 34, ჩვენთან ნამდვილი ქარბუქი ამოვარდა. თოვლი გაიყინა და ორი დღით კვლავ დადგა ზამთარი. მაგრამ ზაფხული მაინც ზაფხულია, და როცა ქარი მიწყმარდა, თოვლმა კვლავ დაუკარგა [illegible] ში მოფრინდა თოლია, ამ დღეებში ვნახეთ სელაკი [illegible] ელიც ბანაკის [illegible] ნეთ ღია ყავისფერი ძაფისებრი და მსხვილი ბაგრისებური წყალმცენარეები. აქ, არქტიკის ცენტრში წყალში, ჰაერსა და ყინულზე სიცოცხლეა.

როცა მოსკოვში შუადამეა, ჩვენს დაბაში ადრე დილაა, ახალი შრომითი დღის დასაწყისია. არც ერთი წუთით არ შეიძლება დავიწყება, რომ ვცხოვრობთ ყინულზე, რომ ჩვენს ირგვლივ ათასობით კილომეტრზე მოდრეიფე ყინულებია, რომლებიც ქმნიან დიდ ხორგებსა და ბევრ ყინულგასაყარს, ამიტომ განუწყვეტლივ ვაწარმოებთ დაკვირვებას ყინულის სივრცეზე.

ჩვენი კოლექტივი მოწყვეტილი არ არის „დიდ მიწას“. სადგურზე რეგულარულად მოფრინავენ თვითმფრინავები, რომლებსაც მოაქვთ ახალი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები. უკანასკნელად მივიღეთ მაგნიტოფონი, რომელზეც ჩაწერილი იყო მშობლების წერილები. კვირაში ორჯერ ვნახულობთ კინოს, ყოველ პარასკევს ვისმენთ მოხსენებას შესრულებული მუშაობის შესახებ. სამეცნიერო-ტექნიკური სემინარის წინასწარი დასკვნების შესახებ. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვეწევით მშვიდობიან შრომას ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხომალდები სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 19 ივლისი. (საკდესი). დღეს შვეციის გაზეთები ბეჭდავენ ოტტაცებულ რეცენზიებს საბჭოთა ხომალდების რაზმის მეზღვაურთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტის შესახებ სტოკჰოლმის საქალაქო პარკ „სკანსენში“.

„რუსი მეზღვაურები ცეკვავენ როგორც პროფესიული მოცეკვავეები“, — წერს სათაურში „მორგონ-ტიდნინგენი“. „საბჭოთა მეზღვაურების გამოსვლამ, — აღნიშნავს გაზეთი, — განაცვიფრა სტოკჰოლმის მცხოვრებნი“.

„სვენსკა დაგბლადეტი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მეზღვაურებმა ცხადყვეს მაღალი ხელოვნება. „მათი გამოსვლა, — წერს გაზეთი, — იყო მაღალი კლასის ნამდვილი ხალხური წარმოდგენა“.

გაზსაცვიფრებელია, აღნიშნავს გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“, როგორ ჰყავს საბჭოთა ხომალდების რაზმის ეკიპაჟს ამდენი ტალანტი, მომღერალთა ასე კარგად შეწყობილი გუნდები, ასეთი შესანიშნავი ტენორები.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ცუდი ამინდისა, შვედების რიცხვმა, რომლებსაც სურთ დათვალიერონ საბჭოთა ხომალდები, გადააჭარბა 5 ათასს. „სტოკჰოლმს-ტიდნინგენი“ აღნიშნავს, რომ „საბჭოთა ხომალდების მნახველებმა შესაძლებლობა მიიღეს თავისუფლად ეარათ და დაეთვალიერებინათ ყველაფერი, რაც მათ სურდათ. რუსი მეზღვაურები ეხმარებოდნენ სტუმრებს ორიენტაციაში და უჩვენებდნენ ყველაფერს ხომალდებზე“.

უცხოელი მოღვაწეები თბილისში

თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც ზიგმუნტ გარსტეკი მეთაურობდა.

დელეგაცია საქართველოში სტუმრად იყო ოთხ დღეს. მან დაათვალიერა თბილისის მთელი რიგი საწარმოები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, იყო რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და ჯანმრთელობის კერებში, შეხვდა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს.

***

ოთხ დღეს იყო საქართველოში იტალიის ქალთა დელეგაცია, რომელსაც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ელეტა ოლივო მეთაურობდა.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი, გაეცნენ მცხეთის არქიტექტურის უძველეს ძეგლებს, იყვნენ ქალაქ გორში ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში.

დელეგაციამ იმოგზაურა აფხაზეთში. აქ იგი იყო კეთილი გაგების ჯანმრთელობის კერებში, გაეცნო სოხუმის ღირსშესანიშნაობებს, სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას, დაესწრო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს.

იტალიის ქალთა დელეგაცია სოხუმიდან მოსკოვს გაემგზავრა. (საკდესი).

კონსულტაცია

ნაწვერალზე ნათესი საკვების დაგროვების მნიშვნელოვანი რეზერვია

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების წარმოების გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საკვები კულტურების თესვა-მოყვანა ნაწვერალზე. სანაწვერალო ნათესების დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი შემოღება ერთსა და იმავე მიწის ფართობზე წლის განმავლობაში ორი მოსავლის მოყვანის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს მეურნეობას მწვანე საკვებით ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში.

სანაწვერალო კულტურები გარდა იმისა, რომ ზრდიან კოლმეურნეობებში მარცვლეულის. სასურსათო და საფურაჟე რესურსებს, როგორც კარგი წინამორბედნი საუკეთესო პირობებს ქმნიან მომდევნო კულტურებისათვის, დადებით გავლენას ახდენენ მათს მოსავლიანობაზე.

მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით საქართველოს მთელ რიგ რაიონებში წარმატებით შეიძლება ვთესოთ და მივიღოთ სანაწვერალო კულტურების მაღალი მოსავალი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობაში ნაწვერალზე დათესილი 10 ჰექტარი სუდანის ბალახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 45 ცენტნერი თივა. მარნეულის რაიონის სოფელ ბაითალოს აზიზბეკოვის სახელობის კოლმეურნეობაში სუდანის ბალახის ასეთივე ნათესიდან მიიღეს ჰექტარზე 30 ცენტნერი თივა. გარდა ამისა, სუდანის ბალახმა გათიბვის შემდეგ კარგი აქვიტი განავითარა, რაც კოლმეურნეობებმა მწვანე საკვებად და სილოსად გამოიყენეს.

სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ამბროლაურის და სხვა რაიონების მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებიც ნაწვერალზე საკვებ კულტურებს დროზე და წესიერად თესავენ, ამასთან ნათესებს კარგად უვლიან, ჰექტარზე დამატებით 100-120 ცენტნერ სიმინდის მწვანე მაღალხარისხოვან სასილოსე მასას იღებენ.

მიუხედავად იმისა, რომ სანაწვერალო ნათესები საკვების დაგროვების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენენ, ნაწვერალზე საკვები კულტურების თესვის გეგმები გარდაბნის, ბოლნისის, ყვარლის რაიონების და ზოგიერთი სხვა რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ყოველწლიურად შეუსრულებელი რჩება, საზოგადოებრივი მეცხოველეობა კი ამ რაიონებში თივისა და განსაკუთრებით წვნიანი და მწვანე საკვების დიდ ნაკლებობას განიცდის.

1954 წლის გეგმით საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სანაწვერალო კულტურები უნდა დაითესოს 15.000 ჰექტარზე. ამ კულტურების მოყვანა შეიძლება იქ, სადაც ძირითადი კულტურების აღების შემდეგ შემოდგომის სიცივეების დაწყებამდე რჩება 80-120 თბილი, მზიანი დღე. ამასთან ამ კულტურების მოყვანა შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავ პირობებში ან საკმარისად ტენიან ნიადაგზე საშუალოდ 600-800 მეტრამდე ზღვის დონიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოში ურწყავ ნაკვეთებზეც საშუალოდ 600 მეტრამდე ზღვის დონიდან.

სანაწვერალო ნათესების წარმოების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურების შერჩევას. ამ კულტურებს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ნაწვერალზე საკვები კულტურები ითესება მწვანე საკვებად, სასილოსედ, თივისა და მარცვლის მისაღებად. კულტურების ფართო ასორტიმენტი შეიძლება გამოვიყენოთ ნაწვერალზე დასათესად. ამისათვის გამოსადეგია ისეთი საკვები კულტურები, რომლებსაც მოკლე სავეგეტაციო პერიოდი აქვთ და გვალვის გამძლე არიან.

საქართველოს დაბლობ და მთისპირა რაიონებში ნაწვერალზე კარგ შედეგს იძლევიან შვრიასთან ან ქერთან ფიგისა, ხანდურისა და უგრეხელის ნარევები, რომლებიც დათესილია სასილოსედ, მწვანე საკვებად ან თივის მიღების მიზნით. გარდა ამისა, ამ რაიონებში ნაწვერალზე წარმატებით შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე სიმინდი, მზესუმზირა, საკვები კომბოსტო, თალგამი და სხვა საკვები კულტურები.

შედარებით თბილ, ტენიან და სარწყავ პირობებში ნაწვერალზე წარმატებით შეიძლება მოვიყვანოთ სიმინდი და სოია როგორც სუფთა, ისე ნარევის სახით, ფეტვი, ჭარხალი, სტაფილო, სუდანის ბალახი, სორგო, ქვრიმა და სხვა ერთწლიანი მაღალმოსავლიანი საკვები ბალახები. სიმინდის, ფეტვის და სხვა კულტურების საადრეო ჯიშები შეიძლება ვთესოთ ნაწვერალზე აგრეთვე მარცვლის მისაღებად, როგორც საფურაჟე კულტურები.

სანაწვერალო კულტურები დიდ მოსავალს გვაძლევენ ისეთ ნაკვეთებზე, რომლებიც შედარებით ადრე თავისუფლდებიან ძირითადი კულტურებისაგან. ამ მხრივ სანაწვერალო ნათესებისათვის საუკეთესო წინამორბედს წარმოადგენენ თივად ან მწვანე საკვებად დათესილი ერთწლიანი ბალახები, აგრეთვე საშემოდგომო ან საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები. წინამორბედი კულტურის მოსავალი რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა ავიღოთ, რადგან სანაწვერალო კულტურების თესვის დაყოვნება დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ნათესის შემდგომ ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობაზე.

სანაწვერალო კულტურები პირველ რიგში უნდა დაითესოს ისეთ ნაკვეთებზე, რომლებიც განკუთვნილია საგაზაფხულო თესვისათვის, რადგან ამ შემთხვევაში სავეგეტაციო პერიოდი შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ ამ კულტურებისათვის ისე, რომ მომდევნო ნათესის აგროტექნიკა არ იქნას დარღვეული.

ნაწვერალის კულტურის მაღალი მოსავლის მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტენიანობას. ამისათვის ეს ნათესები უნდა მოვათავსოთ სარწყავ ან დაბლობ ტენიან ადგილებში. სანაწვერალო კულტურებისათვის საჭიროა შევარჩიოთ შედარებით მსუბუქი, ნოყიერი ნიადაგები ან კარგად გაპატიენებული ნაკვეთები. მლაშობი, ბიცობი, მძიმე თიხნარი, დაბალნაყოფიერი ნიადაგები სანაწვერალო კულტურებისათვის არ გამოდგება.

ნიადაგის მომზადება სანაწვერალო კულტურების აგროტექნიკის მნიშვნელოვანი მომენტია. ნიადაგი უნდა დამუშავდეს წინამორბედი კულტურის მოსავლის აღების პარალელურად და დამთავრდეს მოსავლის აღების დამთავრებისთანავე. მოხვნის დაგვიანება არა მარტო ამცირებს სანაწვერალო კულტურის სავეგეტაციო პერიოდს, არამედ აძნელებს თვით მოხვნას და მკვეთრად აუარესებს ნიადაგის ფიზიკურ მდგომარეობას, ნიადაგი სწრაფად შრება, იგვალვება.

სანაწვერალო კულტურებისათვის შერჩეული ნაკვეთი უნდა მოვხნათ სრულ სიღრმეზე — სამუალოდ 20-22 სანტიმეტრზე აუცილებლად წინასახნისიანი გუთნით. მოხვნის ერთდროულად ერთი აგრეგატით უნდა მოეწყოს ნაკვეთის დაფარცხვა მძიმე კბილებიანი ფარცხით. გვალვიან პირობებში სარწყავი ფართობები მოხვნის წინ საჭიროა მოირწყას, რადგან მშრალ ნიადაგში მოხვედრილი თესლი ვერ უზრუნველყოფს სწრაფ და თანაბარ აღმოცენებას.

ორი მოსავლის მიღების პირობებში საკვები ნივთიერებანი დიდი რაოდენობით იხარჯება. ამიტომ სანაწვერალო კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ნაკვეთის კარგად განოყიერება. საჭიროა ეს კულტურები დავთესოთ ისეთ ნაკვეთებზე, სადაც წინამორბედი კულტურა უხვად იყო განოყიერებული ორგანული და მინერალური სასუქებით. თუ წინამორბედი მცენარე სუსტად განოყიერებული იყო ან სულ არ იყო განოყიერებული, ნაწვერალის მოხვნის წინ უნდა შევიტანოთ სრული მინერალური სასუქი: ჰექტარზე 2-3 ცენტნერი ამონიუმის სულფატი, ამდენივე სუპერფოსფატი და 1 ცენტნერი კალიუმიანი სასუქი.

ძირითადი სასუქების გარდა, მიზანშეწონილია სანაწვერალო ნათესებს დამატებითი საკვები მივცეთ რაც შეიძლება ადრე, ნათესის აღმოცენებისთანავე და რიგთა შორის პირველი დამუშავების ან პირველი სავეგეტაციო მორწყვის წინ, რადგან დაგვიანებით დამატებითი კვება ეფექტს არ იძლევა. დამატებითი საკვებისათვის უნდა გამოვიყენოთ მინერალური სასუქები: ჰექტარზე 1-1,5 ცენტნერი ამონიუმის სულფატი ან 0,75-1 ცენტნერი ამონიუმის გვარჯილა, 1-1,5 ცენტნერი სუპერფოსფატი და 0,5 ცენტნერი კალიუმიანი სასუქი. სანაწვერალო პარკოსანი კულტურები აზოტოვანი სასუქების შეტანას არ საჭიროებენ. სანაწვერალო კულტურების დროულად თესვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წინამორბედი კულტურის მოსავლის აღების, ნიადაგის მომზადების და თესვის სამუშაოები ერთიმეორეს არ უნდა დავაცილოთ და 1-2 დღის განმავლობაში ჩავატაროთ. ამ პირობებში თესლი ხვდება საკმარისად ტენიან ნიადაგში და აღმოცენებისათვის კარგ გარემოში.

საჭიროა სანაწვერალო ნათესებისათვის გამოვიყენოთ შედარებით საადრეო ჯიშების და მაღალი თესვითი ღირსების სათესლე მასალა. თესვის ნორმები, საგაზაფხულო თესვისათვის მიღებულ ნორმებთან შედარებით, 25-30 პროცენტით უნდა გავადიდოთ.

ნაწვერალზე თესვა ხდება ზაფხულში, დიდ სიცხეებში, ხშირად მშრალ მიწაში და ამ პირობებში თესლის ზერელე ჩათესვა უარყოფით შედეგებს იძლევა. კარგი და მწყობრი აღმოცენების მისაღებად სანაწვერალო კულტურების თესლი, სიმსხოს მიხედვით, აუცილებელია 1-2 სანტიმეტრით ღრმად ჩავფლოთ, ვიდრე გაზაფხულზე თესვის შემთხვევაში. ტენიან ნიადაგში თესვისას თესლი უნდა ჩაითესოს ჩვეულებრივ სიღრმეზე.

თესვის წესებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობაზე. მწვანე საკვების და თივის მისაღებად სანაწვერალო კულტურები მიზანშეწონილია დაითესოს ერთიან მწკრივებად, ჩვეულებრივი სათესი მანქანით, ხოლო საკვები ძირხვენები და სასილოსე კულტურები ძირითადად კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

კვების რაციონში ცილების გადიდება ამჟამად განსაკუთრებულ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. ამ მიზნით მაღალი ხარისხის საკვების მისაღებად მიზანშეწონილია მარცვლოვანი ბალახები (სუდანური, სორგო და სხვ.) და სიმინდი ითესებოდეს ცერცველასთან, სოიასთან და სხვა პარკოსან კულტურებთან ერთად ნარევის სახით. სანაწვერალო კულტურები დათესვისთანავე უნდა მოირწყას.

სანაწვერალო ნათესები საჭიროებს გამარგვლას, გამოხშირვას, რიგთა შორის გაფხვიერებას და სავეგეტაციო მორწყვას, ამინდის პირობების მიხედვით ერთხელ ან ორჯერ.

მოსავლის დაზიანებისა და ხარისხის დაცემის თავიდან აცილების მიზნით, სანაწვერალო კულტურების აღება რეკომენდებულია დავამთავროთ ყინვების დაწყებამდე, რათა მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთი დროზე მოიხნას საშემოდგომო ან საგაზაფხულო კულტურისათვის.

უკვე დადგა სანაწვერალო კულტურების თესვის გადამწყვეტი დღეები. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების ან დამატებითი შეთანხმებების თანახმად საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს სანაწვერალო კულტურების თესვა-მოყვანის და მოსავლის აღების სამუშაოთა საუკეთესო ვადებში და მაღალხარისხოვნად მოწყობაში. მექანიზატორები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები მოწოდებული არიან კონკრეტული რჩევა-დარიგებით დაეხმარონ კოლმეურნეობებს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების დანერგვის საქმეში.

საკვებ კულტურათა სანაწვერალო ნათესების ფართოდ გავრცელება დიდად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას. გარდა ამისა, ეს ნათესები დადებით გავლენას მოახდენენ მიწათმოქმედების კულტურის შემდგომ გაუმჯობესებაზე, ხელს შეუწყობენ მინდვრების დასარეველიანების შემცირებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

გ. ლუარსაბიშვილი,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვებმოპოვების სამმართველოს უფროსი.

პოლონეთის აღორძინების დღის წინ

პოლონეთის სოფლის მეურნეობის განვითარება

ვარშავა, 19 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელი გლეხობა ემზადება, რომ საზეიმო ვითარებაში აღნიშნოს პოლონეთში სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარების მეათე წლისთავი — პოლონეთის აღორძინების დღე. სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივებსა და სახელმწიფო სამეწათმოქმედო მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში გაჩაღდა შრომითი შეჯიბრება მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

ომამდე პოლონეთის სოფლებში გლეხობის 70 პროცენტზე მეტს ან სრულებით არ ჰქონდა მიწა, ან ჰქონდა მიწის უმნიშვნელო ნაკვეთი. გლეხობის თითქმის 50 პროცენტი 18-დან 25 წლის ასაკში უმუშევართა არმიას შეადგენდა. ჰიტლერულმა ოკუპაციამ და ომმა კიდევ უფრო გაუარესა სოფლის მდგომარეობა. ჰიტლერელებმა თითქმის ნახევარი მილიონი გლეხური მეურნეობა მოსპეს.

პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ სახალხო ხელისუფლება დაეხმარა სოფელს დასდგომოდა სწრაფი ეკონომიური განვითარების გზას. მიწის რეფორმის შედეგად 1 მილიონზე მეტმა გლეხმა მიიღო 6 მილიონი ჰექტარი მიწა. უკვე 1948 წლის დამლევისათვის სახელმწიფოს დახმარებით აღდგენილ იქნა და აშენდა 400 ათასზე მეტი გლეხური მეურნეობა. ექვსწლიანი გეგმის წლების მანძილზე პოლონეთში მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ახლა პოლონეთში 400-ზე მეტი სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, ხოლო მიმდინარე წლის დამლევისათვის ასეთი სადგური 460 იქნება. სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს აქვთ თითქმის 17 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანილი). მკვეთრად გადიდდა სათესი მანქანების, კარტოფლსათესი და მოსავლის ასაღები მანქანების, კულტივატორების რაოდენობა და სხვ. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის უკანასკნელი 4 წლის მანძილზე 2,4-ჯერ გადიდდა. მიმდინარე წელს პურის მოსავლის აღებაზე მუშაობს ათასამდე კომბაინი. კომბაინების ძირითად ნაწილს პოლონეთს საბჭოთა კავშირი უგზავნის.

სოფლის მეურნეობის ფართო მექანიზაციის ბაზაზე პოლონეთში განვითარდა სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერაცია. ახლა პოლონეთში თითქმის 9 ათასი სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივია, რომლებიც აერთიანებენ 200 ათასზე მეტ გლეხურ მეურნეობას. კოოპერატივები ფართოდ იყენებენ საბჭოთა კოლმეურნეობების მდიდარ გამოცდილებას. მარცვლეულის მოსავლიანობა სამეწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივებში ახლა თითქმის 20 პროცენტით აღემატება ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების მოსავალს. გლეხთა კოლექტიურ მეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა იგრეთვე პიროუყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა.

ექვსწლიანი გეგმის ოთხი წლის მანძილზე პოლონეთში ფართოდ განვითარდნენ სახელმწიფო სამეწათმოქმედო მეურნეობანი. 1953 წელს მათი სავარგულების ფართობი 2.623 ათას ჰექტარს შეადგენდა. მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფო სამეწათმოქმედო მეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობა. ტრაქტორების რაოდენობა 1949 წლის 14.149-დან 1953 წელს 28.737-მდე გადიდდა. გასული წლის დამლევისათვის მსხვილფეხა რქიანი პიროუყვის სულადობა სახელმწიფო სამეწათმოქმედო მეურნეობებში თითქმის ერთნახევარჯერ გადიდდა, ღორის სულადობა — ერთისამად და უფრო მეტად და ცხვრის სულადობა — თითქმის ერთიორად 1949 წელთან შედარებით.

რეალური შემოსავალი ფულადი და ნატურალური გამოხატულებით პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით გასული წლის დამლევისათვის 75 პროცენტით გადიდდა ომისწინა პერიოდთან შედარებით და დაახლოებით 20 პროცენტით 1949 წელთან შედარებით.

განვლილი ათი წლის მანძილზე დიდი სამუშაოები განხორციელდა პოლონეთის სოფლების ელექტროფიკაციისათვის. თუ ბურჟუაზიული პოლონეთის არსებობის 20 წლის მანძილზე ელექტროფიცირებული იყო 1.300-ზე სოფელი, სახალხო ხელისუფლების 10 წლის მანძილზე პოლონეთში ელექტროფიცირებულია 13.600 სოფელი და 3.600-ზე მეტი სახელმწიფო სამეწათმოქმედო მეურნეობა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეორე ყრილობამ პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა დასახა. 1954-1955 წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება გადიდდება დაახლოებით 10 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ამავე პერიოდში გადიდდება 80-100 პროცენტით წარშინდელთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების წარმოება ორი წლის განმავლობაში გადიდდება ერთიორად და უფრო მეტად 1953 წელთან შედარებით.

ამასწინათ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი, რომელმაც დასახა ყამირი და სხვა გამოუყენებელი მიწების ათვისების პროგრამა. ორი წლის მანძილზე პოლონეთში ათვისებული იქნება 800 ათასამდე ჰექტარი გამოუყენებელი მიწები.

მთელი გერმანიის მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის

ოტო გროტეოლის წერილი ერიხ ოლენჰაუერისადმი

ბერლინი, 20 ივლისი. (საკდესი). იდნ-ის საგენტომ გადასცა ტექსტი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის წერილისა დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ოლენჰაუერისადმი. ეს წერილი გადაგზავნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომავალი ყრილობის გამო.

ახასიათებს რა გერმანიაში თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას, ოტო გროტეოლი ამბობს, რომ საკითხია გერმანელ მშრომელთა მოქმედების ერთიანობა, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად არ არის საფუძველი მთელი გერმანიის მუშათა კლასის ერთობლივი მოქმედების უარყოფისათვის.

ჩვენს ხალხს, ნათქვამია წერილში, ომი ემუქრება. მილიტარისტული და რევანშისტული პოლიტიკის მომხრეებმა კვლავ თავზეხელიღა წამოჰყვეს თავი. დასავლეთ გერმანიაში გაბატონებულია ანტიდემოკრატიული რეჟიმი. აღმოსავლეთ გერმანიის ჯგუფი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელთა შეთანხმების მოსისხლე მტერია... ეს ნიშნავს ევროპის თავდაცვითი გაერთიანების პოლიტიკის განხორციელებას, ეს ნიშნავს გერმანელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებაზე, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უფლებაზე უარის თქმას. აღმოსავლეთის პოლიტიკის შედეგად დასავლეთ გერმანია გადაიქცა პოლიციურ სახელმწიფოდ, რომელიც სდევნის მშვიდობისა და დემოკრატიის ყველა მომხრეს და არც თუ უკანასკნელ რიგში სოციალ-დემოკრატებსა და პროფკავშირებს.

მარტო იმ შემთხვევაში, ნათქვამია შემდეგ წერილში, თუ მუშათა კლასი მიაღწევს მოქმედების ერთიანობას, იგი მოიპოვებს ძალას, რათა თავიდან აიცილოს საშინელი უბედურება და იხსნას ჩვენი ხალხი ეროვნული უბედურებისაგან.

გერმანიის მუშათა კლასის საერთო ინტერესები გამომდინარეობენ მისი მისწრაფებიდან დემოკრატიისადმი, მშვიდობისადმი, ერთიანობისა. და სოციალური პროგრესისადმი. ეს ამოცანები გერმანიაში შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასი ბოლოს მოუღებს მონოპოლისტების, იუნკერებისა და მილიტარისტების გავლენას საზელმწიფო და ეკონომიურ ცხოვრებაში და დაიკავებს ხელმძღვანელ როლს.

წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გერმანიის მუშათა კლასს შეუძლია და უნარიც შესწევს შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა, წერს ოტო გროტეოლი, მტკიცე ბაზაა მთელი გერმანიის მუშათა კლასისათვის მის სამართლიან ბრძოლაში.

როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, აცხადებს ოტო გროტეოლი, შემიძლია გამოგიცხადოთ თქვენ და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის ყველა დელეგატს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად იყენებს და კვლავაც გამოიყენებს თავის სუვერენიტეტს იმისათვის, რომ მიაღწიოს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას და რომ გამოიყენოს ყოველი შესაძლებელი შეთანხმების მიღწევის შესახებ მოლაპარაკებისათვის... ჩვენ მზად ვართ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებთან ერთად ბედნიერმუშაოთ საარჩევნო კანონი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კრების ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების განხორციელების პირობებს.

ბონის მმართველთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, თითქოს ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ალტერნატივა არა ჰქონდეს, ოტო გროტეოლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი ალტერნატივა არის და იგი ნიშნავს: ერთიმეორისადმი მოწინააღმდეგე მტრულ ბლოკად ევროპის გათიშვის ნაცვლად, აგრესიული მცირე ევროპის შექმნის ნაცვლად — ევროპის ყველა ხალხის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საფუძველზე. კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემა, რომელიც შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობას და ხელს შეუწყობს დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის რაც შეიძლება მალე მშვიდობიან გაერთიანებას.

საბჭოთა კავშირის დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

ბერლინი, 19 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის მოადგილე გერმანიაში, დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ. ბ. მიროშნიჩენკო 19 ივლისს ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ო. გროტეოლს და საბჭოთა მთავრობის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა სტიქიური უბედურების — რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში მომხდარი წყალდიდობის გამო, რაც თავს დაატყდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ბ. ბ. მიროშნიჩენკომ აცნობა პრემიერ-მინისტრ ო. გროტეოლს, რომ სსრ კავშირის საელჩოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამატებითი დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია წყალდიდობისაგან დაზარალებულ მოსახლეობას.

აშლანჯიკის ბლოკის საომარი მზადება

რომი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ტემპო“ იუწყება, დღეს ხმელთაშუა ზღვაში იწყება საზღვაო და საავიაციო მანევრები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, საბერძნეთის, თურქეთისა და იტალიის შეიარაღებული ძალების 60 სამხედრო ხომალდისა და 100-მდე თვითმფრინავის მონაწილეობით.

ვ. მ. მოლოტოვის და ა. იდენის შეხვედრა

ჟენევა, 20 ივლისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა დელეგაციის შენობაში მოხდა ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარის ვ. მ. მოლოტოვისა და ა. იდენის შეხვედრა, რომლის დროსაც განხილულ იქნა თათბირის მუშაობის საკითხები.

ვ. მ. მოლოტოვის, ჯოუ ენ-ლაისა და ფამ ვან დონგის საუბარი

ჟენევა, 20 ივლისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა დელეგაციის შენობაში გაიმართა ჟენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის, ჟენევის თათბირზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის ჯოუ ენ-ლაისა და ჟენევის თათბირზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის ფამ ვან დონგის ხანგრძლივი საუბარი.

თათბირის დროს დელეგაციათა მეთაურებმა განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება ჟენევის თათბირის საბოლოო ფაზას. საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციათა წევრებმა, აგრეთვე მრჩეველებმა ექსპერტებმა.

ვ. მ. მოლოტოვის, ფამ ვან დონგის, პ. მენდეს-ფრანსისა და იდენის შეხვედრა

ჟენევა, 20 ივლისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის დელეგაციის შენობაში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფამ ვან დონგი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მენდეს-ფრანსი და დიდ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი.

საუბრის დროს განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც შეეხება ჟენევის თათბირის მუშაობას.

ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 19 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ჟენევის თათბირის განხილული თვის მუშაობისა და თათბირის ახლანდელი მდგომარეობის შეფასებამ, რაც გუშინდელ სხდომაზე ჩამოთაყალიბა საბჭოთა დელეგაციამ, პოლიტიკურ მეთვალყურეთა და ადგილობრივ და უცხოელ ჟურნალისტთა ყურადღება მიიპყრო. ეს შეფასება დღეს პრესის კომენტარისა და პრესის სახლში გაცხოველებული საუბრების მთავარი თემაა.

ბევრადვენ რა საბჭოთა დელეგაციის გუშინდელი განცხადების ძირითად შინაარსს, აქაური ვარეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თუმცა სწორი არ იყო გვეფიქრა, რომ უკვე ყველაფერი გაკეთდა და ძნელი საკითხები აღარ დარჩენილა, მაგრამ არ შეიძლება არ ვალიაროთ იმის ობიექტური მნიშვნელობა, რასაც თათბირმა მიაღწია. ბევრი მეთვალყურე და კომენტატორი სოლიდარობას უცხადებს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ გამოთქმულ რწმენას, რომ დელეგაციის წევრთა უკანასკნელმა შეხვედრებმა და ეკრძო საუბრებმა სასარგებლო როლი შეასრულეს, კაფავდნენ და კვლავ გაკაფავენ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი საკითხების გადაჭრის გზას. გაზეთი „ლე კურიე“ თათბირზე საბჭოთა დელეგაციის შეფასების არსს გამოხატავს დიდი სათაურით: „ჟენევის თათბირმა პროგრესს მიაღწია“. იგი აღნიშნავს, რომ გუშინ საღამოს, სხდომის შემდეგ, „გაბატონებული იყო დაძაბულობის შენელების შთაბეჭდილება“. გაზეთი „ეურნალ დე ჟენევი“ ასეთსავე აზრს გამოთქვამს. იგი წერს, რომ გუშინდელი სხდომის შემდეგ საერთო განწყობილება ოპტიმისტურია.

გაზეთების კომენტარებსა და პოლიტიკურ მეთვალყურეთა კომენტარებში მოლაპარაკების მსვლელობის საღი და ობიექტური საბჭოთა შეფასება უპირისპირდება მშვიდობის იმ მტრების ბოროტგანზრახულ დეზინფორმაციას, რომლებიც ცდილობენ, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, მოწამლონ ატმოსფერო, მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი არაკებით, რომ უთუოდ მოსალოდნელია თათბირის „ჩაფუშვა“. თვითმარქვია „წინასწარმეტყველების“ პ. ბ. გაგულისებულ და ღვარძლიან პროპაგანდას, რომლებიც სასურველს სინამდვილედ ასაღებენ, საგრძნობი ლახვარი ჩაეცა.

„მოლოტოვმა, — წერს „გაზეტ დე ლოზანის“ მიმომხილველი, — თათბირის მდგომარეობის შესახებ გააკეთა ნათელი განცხადება, რომელიც ეკვს არ იწვევს“.

საბჭოთა დელეგაციის გუშინდელი განცხადებისადმი დიდი ინტერესი მოწმობს, თუ რამდენად შეესაბამება დელეგაციის მიერ გამოთქმული იმ რწმენა, რომ ჟენევის თათბირი დადებით შედეგებს მიაღწევს, ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო ფენების ინდედასა და მოსწრაფებებს. მათ ჟენევის თათბირზე უკვე მიღწეული დადებითი შედეგები მიაჩნიათ მშვიდობის ძალების გამარჯვებად. ამასთან ერთად ისინი სიფხიზლესა და სიფრთხილეს იჩენენ სხვადასხვა მაქინაციებისა და იმ ცდებისადმი, რომ ხელოვნურად გააზვიადონ ჯერ კიდევ შეუთანხმებელი საკითხების არსებობის ფაქტი. კერძოდ, გუშინ ყურადღება მიაქციეს ბაოდაელთა დელეგაციის საეკვო ინიციატივებს. კვირას პრესის სახლში გამოაცხადეს, რომ ამ დელეგაციამ პრეს-კონფერენცია დანიშნა სწორედ იმ სხდომაზე, როცა უნდა გამართულიყო ცხრა დელეგაციის დახურული სხდომა. უკანასკნელ წუთში პრეს-კონფერენცია გადაიდო, მაგრამ უფრო გვიან ბაოდაელებმა გაავრცელეს განცხადება, რომელშიც ლაპარაკია მათ განზრახვაზე—სხარი დაუჭიროონ მოთხოვნებს, რომლებიც მათ ჩამოაყალიბეს საფრანგეთის დელეგაციისათვის 17 ივლისს გაგზავნილ ნოტაში.

ამ მოთხოვნათა შინაარსის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია „გაზეტ დე ლოზანში“, ეს მოთხოვნები ასახავენ ბაოდაელთა სასაცილო პრეტენზიებს, რომ მათ უფლება აქვთ ილაპარაკონ ვიეტნამელი ხალხის სახელით. აღნიშნულ განცხადებაში ბაოდაელთა დელეგაცია ტრაბახობდა, რომ კვირას საიგონში გაიმართება „აქამდე უმაგალითო“ დემონსტრაცია. მისი ორგანიზატორების განზრახვით მას უნდა ცხადყოფილიყო ხალხის მოსწრაფება ერთიანობისადმი და ბაოდაელთა ხელისუფლების გარშემო დარაზმულობა

მაგრამ, როგორც ეს ცნობილი გახდა, უცხოეთის საგენტოთა გადმოცემებიდან, ამ მეტად ფართოდ რეკლამირებულ მანიფესტაციაში მონაწილეობდა სულ რამდენიმე ასეული ადამიანი, რომლებიც ხელისუფლებმა მოხვეტეს არა მარტო ქალაქში, არამედ პროვინციაში და სატვირთო მანქანებით მიიყვანეს საიგონში.

ამ ცნობებმა აქ გამოიწვია ბევრი ირონიული შენიშვნა ბაოდაელთა უზომოდ გაბერილი პრეტენზიების გამო. თავისთავად მათი მაქინაციები ინტერესს არ გამოიწვევდა, ცნობილი რომ არ ყოფილიყო, რომ მთელი მათი მოქმედება ინსპირირებულია მათი უცხოელი ბატონების მიერ. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ბაოდაელებმა თავიანთი განცხადება გააკეთეს სწორედ იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სმიტმა სხდომაზე განაცხადა, რომ, თუ თათბირი მიაღწევს შეთანხმებებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები მოიწონებენ, შეერთებული შტატები გააკეთებენ ცალმხრივ განცხადებას, რომ თავს შეიკავებენ ამ შეთანხმებათა დარღვევისაგან. ადგილობრივი მეთვალყურეები სმიტის ამ განცხადებას ისე განმარტავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც წინასწარ ითვალისწინებენ იმას, რომ თათბირი მიიღებს შეთანხმებულ და მხარეებისათვის ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებს და რომლებიც ახორციელებენ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საწინააღმდეგო პოლიტიკას, კვლავ ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ შეაკოწიწონ აგრესიული ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ისეა თუ ისე, საბჭოთა დელეგაციის გუშინდელი განცხადების შთაბეჭდილებით აქ დამკვიდრებულ გაბატონებული აზრი ის არის, რომ, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს უთანხმოება ზოგიერთ საკითხში და არ შეიძლება ჯეროვნად არ შეფასდეს სიძნელენი თათბირის წარმატების დამთავრების გზაზე, მაგრამ მაინც ყველა შესაძლებლობაა მიღწეულ იქნას შეთანხმება ინდოჩინეთის ხალხების კანონიერ ეროვნულ უფლებათა აღიარების ბაზაზე.

ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა ვიეტნამში

შანხაი, 19 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის სინფორმაციო საგენტო იუწყება:

ახორციელებენ რა შეთანხმებას, რომელიც მიღწეულია ტუნგ-ციას სამხედრო თათბირზე, ვიეტნამის სახალხო არმიის და ინდოჩინეთში საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობათა წარმომადგენლებმა 15 და 16 ივლისს ქალაქ ვიეტ-ტრიში გაცვალეს ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეები.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა საფრანგეთის მხარეს გადასცეს 99 დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო ტყვე, მათ შორის 18 ფრანგი, 48 მაროკოელი, ალჟირელი, ტუნისელი და სენეგალელი, 13 შვედი, გერმანელი, ავსტრიელი და ესპანელი და 10 მარიონეტული არმიის ჯარისკაცი.

საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა ვიეტნამის მხარეს გადასცეს ასი სამხედრო ტყვე. აქედან 74 დაჭრილი და 26 ავადმყოფი, მათ შორის რამდენიმე სანოქალაქო პირი და პარტიზანი.

განთავისუფლებული რაიონებიდან გამგზავრების წინ საფრანგეთის მხარის სამხედრო ტყვეებმა მადლობა გადუხადეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ჰუმანური მოპყრობისათვის.

შეჯვეა გვაგემალის პროფკავშირების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 20 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი გვატემალიდან იუწყება, ამ პირებმა, რომლებიც თავიანთ თავს „პროფკავშირულ ლიდერებს“ უწოდებენ, ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირების კონგრესის წარმომადგენლებთან (რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდნენ) ორი დღის თათბირის შემდეგ, მოიწონეს მთავრობის დეკრეტი, რომელიც უკანონოდ აცხადებს გვატემალის ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოებს და ითვალისწინებს „დროებითი კომიტეტის“ შექმნას, რომელმაც უნდა განაგოროციელოს პროფკავშირების „რეორგანიზაცია“.

ჩანკაიშეკი ჯარისკაცები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხარეზე გადავიდნენ

პეკინი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, უკანასკნელ ხანს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სანაპირო დაცვის რაზმებს დანებდა 14 ჩანკაიშელი ჯარისკაცი, რომლებიც გამოიქცნენ კუნძულ კინმენიდან და სხვა პატარა კუნძულებიდან. ეს კუნძულები ფუძიანის პროვინციის სანაპიროს ახლო მდებარეობენ.

სპორტის ამბები

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი

გუშინ ვენაში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ავსტრიის ჩემპიონის „რაპიდისა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის. გაიმარჯვა „რაპიდის“ გუნდმა ანგარიშით 1:0.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 20 ივლისი. „სტალინეცის“ სტადიონზე გაიმართა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 6:1.

თბილისის ნორჩ დინამოელთა მორიგი გამარჯვება

სარატოვი. (სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს ნორჩ დინამოელთა დასკვნითი ასპარეზობა ფეხბურთში „დინამოს“ ცენტრალური სპორტის პირველობაზე. ჩემპიონატის დასაწყისიდანვე წარმატებით იბრძვის თბილისის გუნდი, რომელიც ზედიზედ იგებს მატჩებს დიდი ანგარიშით. ფინალური შეჯიბრების მორიგი შეხვედრა თბილისის ნორჩმა დინამოელებმა გაბართეს სიმფეროპოლის გუნდთან და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 9:0.

სსრ კავშირის თასზე

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად. ასპარეზობაში ჩაებნენ რაიონულ და საქალაქო თასის გათამაშებაში გამარჯვებული კოლექტივები.

გასულ კვირას დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება. პირველი მატჩები გაიმართა თელავსა და ფოთში. ხაშურის „ლოკომოტივისა“ და თელავის „სპარტაკის“ გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1. ამავე დღეს ფოთის „ეოდნიკმა“ მოუგო წულუკიძის რაიონის გუნდს 5:2.

„კოლმეურნის“ პირველობაზე

გასულ კვირას დაიწყო ნებაყოფლობითი საფოლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში. შეჯიბრება 15 გუნდის მონაწილეობით მიმდინარეობს ორ ზონად. ზონებში გამარჯვებული თითო გუნდი, აგრეთვე აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პირველობის გათამაშებაში გამარჯვებული (სულ 5 გუნდი) გაითამაშებენ ფინალს.

პირველი შეხვედრები გაიმართა 18 ივლისს. ჩოხატაურისა და ვანის, აგრეთვე ზესტაფონისა და სამტრედიის გუნდების შეხვედრები დამთავრდა ვანისა და სამტრედიის ფეხბურთელთა გამარჯვებით. ამავე დღეს წულუკიძის ფეხბურთელთა კოლექტივმა მოუგო ორჯონიკიძის გუნდს.

საქალაქო ჩემპიონატი ფეხბურთში

თბილისში ორნახევარ თვეს გრძელდებოდა საქალაქო ჩემპიონატი ფეხბურთში 43 გუნდის მონაწილეობით.

18 ივლისს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა პირველი ჯგუფის გუნდების უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა. თამაშობდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და მაუდკამოლის ფაბრიკის გუნდები. ანგარიშით 9:3 გაიმარჯვა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა, რომელმაც მოიპოვა თბილისის 1954 წლის ჩემპიონის წოდება.

ნეკროლოგი

გ. გ. ღამბარაშვილი

გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის — საქართველოს გინეკოლოგიური კათედრის გამგე პროფესორი გ. გ. ღამბარაშვილი.



პროფ. გ. ღამბარაშვილი დაიბადა 1878 წელს, საშუალო სასწავლებელი დამთავრა თბილისში 1899 წელს და შეეკი მოსკოვის უნივერსიტეტში. 1901 წელს სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და დაპატიმრეს.

1908 წელს გ. ღამბარაშვილი ამთავრებს სამედიცინო მეცნიერებათა სრულ კურსს გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, ხოლო სახელმწიფო გამოცდებს წარჩინებით აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტში. ამის შემდეგ მუშაობს მოსკოვის უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკაში. 1912 წელს იცავს დისერტაციას მედიცინის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1917 წლამდე პრივატ-დოცენტია იმავე კლინიკაში, ხოლო სიმსივნეთა მკურნალობის ინსტიტუტში განაგებს გინეკოლოგიურ განყოფილებას. 1917-1920 წლებში მუშობს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორად.

1923-24 წლებში გ. ღამბარაშვილი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად, 1921-32 წლებში განაგებდა აგრეთვე რენტგენოლოგიის კათედრას. 1920 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ღამბარაშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის საქუანო-გინეკოლოგიური კათედრის გამგე და პროფესორი.

პროფესორ გ. ღამბარაშვილს ეკუთვნის 80-მდე სამეცნიერო შრომა. ის ითვლება რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში.

პროფესორი გ. ღამბარაშვილი იყო საქართველოს სამეანო-გინეკოლოგიური საზოგადოების მუდმივი წევრი და თავმჯდომარე, მოსკოვის სამეანო-გინეკოლოგიური საზოგადოების, კიევისა და ხარკოვის ექიმთა საზოგადოებების საპატიო წევრი.

პროფესორი გ. ღამბარაშვილი გამოცდილი პედაგოგი, ნიჭიერი მეცნიერი, გულისხმიერი ამხანაგი, დიდი ენერგიისა და ერუდიციის მკურნალი, მტკიცე საბჭოთა პატრიოტი იყო.

გ. ღამბარაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, ამხანაგებისა და მოწაფეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

დიდი მოგებანი

ყვარელი. (საკ. კორ.). სოფელ წიწკანათერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგემ ი. გაგეკიძემ ყვარლის ცენტრალურ შენახველ სალაროში წარადგინა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ასმანეთიანი ობლიგაცია, რომელიც 50.000 მანეთი მოიგო. აგრონომმა ბ. მარდალეიშვილმა ორასმანეთიანი ობლიგაციით 10.200 მანეთი მოიგო.

ამ დღეებში ყვარლის შემნახველ სალაროში გაცემულ იქნა აგრეთვე ერთი 25 ათასი მანეთი მოგება.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურციკიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1954-55 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობებზე: სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია — 2, ტრაქტორები და ავტომობილები — 1, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი — 1, სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია — 1, სუბტროპიკული მეხილეობა — 1, სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია — 1, ლითონების ტექნოლოგია — 1, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია — 1, მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაცია — 1, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგია — 1, მეაბრეშუმეობა — 1, მანქანების დეტალები და აწყვ მანქანები — 1.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლეს